მარიუს ფონ მაიენბურგი

შეუხედავი კაცის ამბავი

მოქმედი პირნი:

ლეტე:	შეუხედავი კაცი
ფანი:	მისი მეუღლე
შეფლერი:	ლეტეს შეფი
კარლმანი:	ლეტეს ასისტენტი
ფანი:	მდიდარი მოხუცი ქალი
კარლმანი:	მდიდარი მოხუცი ქალის ვაჟი
შეფლერი:	ქირურგი
ფანი:	მისი ასისტენტი ქალი

სამივე ფანის როლს ერთი და იგივე მსახიობები ასრულებენ, იგივე ვრცელდება ორივე შეფლერზე და ორივე კარლმანზე. საერთო ჯამში ოთხი პერსონაა.

ლეტეს გრიმი არ უნდა აუშნოვებდეს, უგრიმო გარეგნობა უნდა შეინარჩუნოს. ჩემი წარმოსახვით ოპერაციების შემდეგ მსახიობის გარეგნობას არანაირი ცვლილება არ უნდა შეემჩნეს.

შეფლერი: ექსცელზიორი ამ მხარეში საუკეთესო სასტუმროა, არაჩვეულებრივი ხედებით, ოთახი სამხრეთის მხარეს აიღეთ, ალპების ხილვა სუნთქვის შემკვრელი სანახაობაა, დილით ერთ ორს აუზშიც გაცურავთ, თორემ გასუქდებით. დილის საუზმე საკმაოდ ნოყიერია, მიმტანებს სახეები ვოლიერში მყოფ შვლებს მიუგავთ. აი, თვითონაც ნახავთ, იქიდან წამოსვლა აღარ მოგინდებათ, როცა იქაურობას იხილავთ.

ლეტე: ბრიგზეა საუბარი?

კარლმანი: დიახ

ლეტე: თქვენც მიემგზავრებით?

კარლმანი: მეე? დიახ, ახლახან ბროშურა მომიტანეს, მაგიდაზე დევს.

ლეტე: დარწმუნებული ხართ, რომ ეს ჩემთვის არ არის?

კარლმანი: აი, ინებეთ, აქ ჩემი გვარია მითითებული.

ლეტე: თქვენ უკვე მიგიღიათ, ჩემი რაღაც იგვიანებს. წავალ ფოსტაში ვიკითხავ.

კარლმანი: არ მგონია, რომ ეს რამეში დაგეხმაროთ.

ლეტე: იქ რით მიემგზავრებით? შემიძლია ჩემს მანქანაში ადგილი შემოგთავაზოთ.

კარლმანი: მე მივფრინავ

ლეტე: მიფრინავთ? თქვენ ამის შესაძლებლობა გაქვთ?

კარლმანი: ამას ორგანიზატორი იხდის

ლეტე: რას, თქვენს მგზავრობას თვითმფრინავით?

კარლმანი: დიახ. აეროპორტში დამხვდებიან კიდეც

ლეტე: ასეთი რამ არ გამიგია, მე მანქანით უნდა წავიდე, თქვენ კი თვითმფრინავში იჯდეთ.

კარლმანი: მგზავრობისათვის საჭირო ყველა საბუთი რამდენიმე კვირით ადრე გამომიგზავნეს.

ლეტე: უკვე მიიღეთ? თანაც ადრე? მე ჯერ არაფერი მიმიღია.

კარლმანი: ჰოო...

ლეტე: საინტერესოა თქვენ რაღა გინდათ კონგრესზე?

კარლმანი: გულახდილად რომ გითხრათ...

ლეტე: გასაგებია, თქვენ ჩემთან მონდომებით იმუშავეთ, მე მესმის, თქვენც გსურთ წარმატების ტრიუმფს დაესწროთ, ახალი კონტაქტებიც დაამყაროთ...

კარლმანი: არა, გულახდილად გითხრათ...

ლეტე: მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ თქვენთვის ამდენი ხარჯი აიღეს, მხოლოდ იმიტომ, რომ უკანა რიგში იჯდეთ და მოისმინოთ ის, რაც უკვე დიდი ხანია თქვენთვის ცნობილია.

კარლმანი: არა, ბატონო ლეტე, თქვენ ცდებით.

ლეტე: რა ბრძანეთ?

კარლმანი: მე უკანა რიგში არ ვიჯდები. მე შემაღლებულზე ვიდგები და მოხსენებას წავიკითხავ

ლეტე: თქვეენ?

კარლმანი: დიახ.

ლეტე: მგონი რაღაც სწორად ვერ გავიგეთ, იქ, ზევით, ჰო, მე უნდა ვიდგე...

კარლმანი: არა

ლეტე: მოხსენებას მე ვკითხულობ

კარლმანი: არა

ლეტე: ეს ლოგიკურია, ჩამრთველი მე გამოვიგონე. მევე გამოვიგონე დამცველი ბარიერი ნაპერწკლური განმუხტვისთვის. ჩემი წყალობით შეძლო

შეფლერმა პატენტის გავრცელება, რა თქმა უნდა, 2 ეკ-ს მე წარვადგენ. მე გახლავართ ამ პროექტის გონი, თქვენ კი მხოლოდ ჩემი ასისტენტი ბრძანდებით. კომპეტენტური მხოლოდ მე ვარ, მოხსენება მე უნდა წავიკითხო, თქვენ კი ქვევით იჯდეთ და ისმინოთ.

კარლმანი: არა

ლეტე: მისმინეთ ბატონო კარლმან, არ მინდა, ლამაზი ილუზიები დაგიმსხვრიოთ, რა თქმა უნდა, თქვენ გახარებული ბრძანდებით. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობაა. ძალიან ვაფასებ თქვენს ფანტაზიებს, მაგრამ ამ გაუგებრობას სასწრაფოდ ნათელი უნდა მოეფინოს, თორემ თქვენ მართლაც აღმოჩნდებით ჩემ მაგივრად კონგრესზე, ეს კი ძალიან სასაცილო იქნება.

კარლმანი: თქვენთის შეფს არ უთქვამს?

ლეტე: ეს ხომ სასაცილოა...

კარლმანი: მას ესაუბრეთ, ეს ყველაფერი მისი დაგეგმილია.

ლეტე: შეფლერის?

კარლმანი: დიახ...

ლეტე: როგორ, შეფლერმა მშვენივრად იცის, რომ პროექტს მე ვხელმძღვანელობდი, თქვენ მხოლოდ ქანჩის დამჭერი ხართ ამ საქმეში, მეტი არაფერი. არ მგონია შეფს ისეთი კაცისთვის გადაებარებინოს ეს მისია, როგორც თქვენ ხართ. თქვენ, ძვირფასო კოლეგავ, ერთხელაც არ მიგიღიათ დიპლომი, არა, ის ასე არ მოიქცეოდა.

კარლმანი: მაგრამ, მაინც მოიქცა

ლეტე: რაა?

კარლმანი: დიახ, ნამდვილად

ლეტე: ასეთი რა უამბეთ?

კარლმანი: არა, არაფერი
ლეტე: იქნებ ჩირქი მომცხეთ

კარლმანი: არა, როგორ გეკადრებათ, მან იცის, რომ პროექტს თქვენ ხელმძღვანელობდით და მე მხოლოდ უბრალო ქანჩის დამჭერი გახლავართ.

ლეტე: მაშინ რა ხდება
კარლმანი: ის ერთხელ ჩემთან მოვიდა
ლეტე: და, ალბათ, ისიც გითხრათ, რატომ თქვენ და არა მე...
კარლმანი: მან უბრალოდ მიმანიშნა
ლეტე: მაინც რაზე?

კარლმანი: ჯობს თქვენ თვითონ ესაუბროთ
ლეტე: რაზე მიგანიშნათ, ამოღერღეთ
კარლმანი: მე თქვენთვის ამის თქმა არ მინდა.
ლეტე: „მან უბრალოდ მიმანიშნა", — ეს რაღაც გაუგებრობაა.

კარლმანი: ალბათ
ლეტე: აქამდე რატომ არაფერი მითხარით?

კარლმანი: მე დიდ პატივს გცემთ, თქვენს პროფესიონალიზმს დიდად ვაფასებ, მე არ მინდოდა
ლეტე: რა?
კარლმანი: უბრალოდ არ მინდოდა, თქვენთვის გული მეტკინა
ლეტე: რა მაგარია, მე აქ აქეთ-იქით დავრბივარ, ლაბორატორიაში გვერდი-გვერდ ვდგავართ, ერთად მივირთმევთ, ერთი თერმოსით ვსარგებლობთ და თქვენ არ გინდოდათ, გული გეტკინათ, არა?
კარლმანი: არ ვიცოდი, როგორ
ლეტე: თქვენგან ამას არ მოველოდი. ბატონო შეფლერ ჩვენ სერიოზულად უნდა ვისაუბროთ.
შეფლერი: ახლა ხილს ვთლი

ლეტე: რატომ მიემგზავრება კარლმანი კონგრესზე?
შეფლერი: თქვენ იმის გაგება გსურთ, რატომ თქვენ არა, დიახ, ვიცი. ბატონო კარლმან, მარტო ხომ არ დაგვტოვებდით, პირისპირ გვაქვს სასაუბრო. (ლეტეს მიმართავს)

ცოტაოდენ ხილს მიირთმევთ? ძალიან კარგად მესმის რასაც გრძნობთ. მაგრამ რას ელოდით?

ლეტე: რას ველოდი?
შეფლერი: იახ, ბრძანეთ.

ლეტე: იმას, რომ კონგრესზე მე გავემგზავრებოდი და მე თვითონ წარვადგენდი ჩვენი მაღალი ძაბვის ჩამრთველებს და არა ის ცვილის ფიგურა.
შეფლერი: როგორ წარმოგიდგენიათ ეს? როგორი მსვლელობა ექნებოდა ამ ყველაფერს.
ლეტე: ძალიან ჩვეულებრივი, დიაფილმით, გრაფიკა, ანიმაცია. ვიცი, მინახია, ეს როგორც ხდება.
შეფლერი: მაინც რას ფიქრობთ, რად გვინდა ეს ყველაფერი, ეს სულელური კონგრესი და ეს ალიაქოთი.

ლეტე: ხალხი გაგვიცნობს, გაიგებს, რა გავაკეთეთ, როგორ ვიმუშავეთ.
შეფლერი: იმიტომ, რომ მათ ეს შეიძინონ.
ლეტე: დიახ, ჩემგან შეიძინონ.
შეფლერი: იყიდონ, იყიდონ, იყიდონ და არა ჩემგან

ლეტე: დიახ, და?
შეფლერი: იყიდონ
ლეტე: დიახ, სიმართლეს ბრძანებთ.
შეფლერი: თქვენ უნდა გაგეყიდათ ეს მაღალი ძაბვის ჩამრთველი?

ლეტე: და გავყიდი კიდეც
შეფლერი: მგონი თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ.
ლეტე: რატომაც არა?

შეფლერი: თქვენთვის ნათელია, რომ
ლეტე: რა?

შეფლერი: თქვენ უნდა იცოდეთ, რომ
ლეტე: რა უნდა ვიცოდე?
შეფლერი: ეს შეუძლებელია
ლეტე: რატომ?
შეფლერი: არ იცით, რომ?
ლეტე: არა, რას გულისხმობთ?
შეფლერი: თქვენთვის არავის უთქვამს?

ლეტე: წარმოდგენა არ მაქვს, რაზე მესაუბრებით.
შეფლერი: არა, შეუძლებელია, რომ ამის გაკეთება ისევ მე მომიწევს.
ლეტე: ბატონო?
შეფლერი: ის, რომ მე ვარ ის, ვინც უნდა თქვას
ლეტე: რა?

შეფლერი: თავიდან ვიფიქრე, როგორც უფროსს მყავს ისეთი თანამშრომელი, მდივანი ქალი ან სხვა, ვინც ამას გააკეთებდა, ის, ვინც ჩემს ზარებს პასუხობს, ჩემს ფოსტას ხსნის და აწესრიგებს, ვფიქრობდი, რომ მე შეფი ვარ და სხვები ამ სამსახურს გამიწევდნენ, მე კი ძირითადზე გადავერთე. ახლა კი აი, თქვენ პირისპირ მე აღმოვჩნდი.
ლეტე: ვშიშობ, რომ თქვენი არ მესმის
შეფლერი: იქნებ ზუსტად ესაა ის ძირითადი
ლეტე: რა?
შეფლერი: ის, რომ ამდენი ხალხიდან, მაინც და მაინც მე მომიწია, იმის თქმა, რომ თქვენი სახე არ წავა. ის, რომ პასუხისმგებლობას მე ვიღებ და ისეთ რამეს ჩავდივარ, რაც მართლაც იარებს ტოვებს, იქნებ ამის გაკეთება სხვას გარდა შეფისა, არც არავის შეუძლია.

ლეტე: ჩემი სახე?
შეფლერი: თქვენთვის არავის უთქვამს?

ლეტე: არა
შეფლერი: თქვენ მეულლე გყავთ არა?
ლეტე: უკაცრავად, არაფერი მესმის

შეფლერი: თქვენი ცხვირი არ მოგვწონს, იმედია, ხუმრობაზე არ ხართ აცრილი. ვერ მიმიხვდით? დიახ, გასაგებია. ამ სახით ვერაფერს გაყიდით.
ლეტე: როგორი სახით
შეფლერი: ახლა ხომ არ მიირთმევთ ხილს? არა?
ლეტე: რა სჭირს ჩემს სახეს?
შეფლერი: დედათქვენი ცოცხალია?
ლეტე: რა შუაშია აქ დედაჩემი?
შეფლერი: იქნებ მან შეძლოს და გაგარკვიოთ საქმის ვითარებაში

ლეტე: დედაჩემი ვერაფერშიც ვერ გამარკვევს.
შეფლერი: მაშინ თქვენი მეულლე. თქვენ ხომ მისი არჩევანი ხართ. მოუყევით ყველაფერი, დღეს ადრე დავამთავროთ, ცოტა არ იყოს, თქვენთან საუბარმა დამთრგუნა. ახლა ნუ მიიღებთ ასეთ სახეს.
ლეტე: როგორ სახეს?
ფანი: წარმოდგენა არ მაქვს, რას გულისხმობს
ლეტე: ნამდვილად?
ფანი: დიახ
ლეტე: კარგად შემომხედე
ფანი: გიყურებ
ლეტე: საით იყურები
ფანი: თვალებში გიყურებ
ლეტე: არა
ფანი: როგორ არა
ლეტე: შენ ჩემს მარცხენა თვალს მიშტერებიხარ

ფანი: მერე რა
ლეტე: სახეზე შემომხედე
ფანი: როგორც ახლა?
ლეტე: თვალებში ნუ მიყურებ
ფანი: ასე?

ლეტე: არა. სახეში მიყურე, ორივე თვალში. შენ არასოდეს მიყურებ
ფანი: რა?
ლეტე: ყოველთვის მარცხენა თვალში მიყურებდი. რატომ?
ფანი: არ ვიცი

ლეტე: დღესვე მინდა, გავიგო
ფანი: ხომ იცი, რომ მიყვარხარ
ლეტე: ძალიან კარგი, მაგრამ სახეში რატომ არ მიყურებ?
ფანი: ასე კარგია.

ლეტე: არაფერიც არ არის კარგი. დღეს პირველად მესმის, რომ სახეზე რაღაც წესრიგში არ მაქვს. დიდი ხანია, რაც იცი?
ფანი: ლეტე
ლეტე: შენც იცი, არა?
ფანი: საუკუნეა, რაც ამაზე აღარ მიფიქრია.
ლეტე: ნეტავ რაზე?
ფანი: სულ თავიდან, ერთმანეთი რომ გავიცანით, მაშინ მართლაც იყო რაღაც მოკლე პერიოდი
ლეტე: რა პერიოდს გულისხმობ?
ფანი: გაღიზიანების
ლეტე: შენ რა გაღიზიანებული იყავი?
ფანი: დიახ.

ლეტე: ჩემი სახის გამო?
ფანი: დიახ, მაგრამ ეს მალევე მიეცა დავიწყებას.
ლეტე: ალბათ, იმიტომ რომ შეეჩვიე, ჩემთვის მხოლოდ მარცხენა თვალში გეცქირა
ფანი: შეიძლება, მაგრამ ამას შეგნებულად არ ვაკეთებ
ლეტე: ჰო, გაგახსენდა, გაღიზიანებული რომ იყავი.
ფანი: ამის დავიწყებაშეუძლებელია
ლეტე: რისი?
ფანი: საყვარელო
ლეტე: რას გულისხმობ?
ფანი: მე მეგონა, რომ ეს შენც იცოდი. ყოველთვის მაოცებდა

ის, რომ შენ ამ საკითხს აუღელვებლად ეკიდებოდი.

ლეტე: რას გულისხმობ ბოლოს და ბოლოს

ფანი: იმას, რომ შენ საშინლად უშნო ხარ

ლეტე: ოჰ

ფანი: არ მინდოდა გულის ტკენა

ლეტე: მახინჯი?

ფანი: მე ამაზე სიტყვაც არ დამცდებოდა, შენ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ

ლეტე: მართლა ფიქრობ, რომ შეუხედავი ვარ?

ფანი: როგორც ადამიანი, შენ მშვენიერი ხარ

ლეტე: მაგრამ

ფანი: შენი სახე ძალიან, ძალიან შეუხედავია

ლეტე: ამას სხვა სახელი არ მოეძებნება

ფანი: სამწუხაროდ, არა.

ლეტე: ესე იგი შენც ასე ფიქრობ

ფანი: არა, მე ასე არ ვფიქრობ

ლეტე: აბა როგორ?

ფანი: საქმე ის არ არის, მე რას ვფიქრობ

ლეტე: მაშინ რა

ფანი: შენ უშნო ხარ. ეს სინამდვილეა. ვინც შემოგხედავს, სხვანაირად ვერ იფიქრებს. ვერც კი წარმომედგინა, ეს თუ არ იცოდი.

ლეტე: თუ არავინ მეტყოდა, საიდან მეცოდინებოდა

ფანი: იმიტომ, რომ ეს ძალიან თვალში მოსახვედრია

ლეტე: გასაგებია, რომ ბრწყინვალე შესახედაობით არ გამოვირჩევი, მაგრამ ბრიგში რომ ჩემი წასვლა კონგრესზე არ შეიძლება, ვფიქრობ რომ აბსურდია. (ფანი გაჩუმებულია) იქნებ არც შენ გგონია, ეს აბსურდი?

ფანი: არ ვიცი, რა გითხრა

ლეტე: ვერ გავიგე

ფანი: ჩემთვის გასაგებია. რომ მითხარი, ჩამრთველი კონგრესზე მიმაქვსო, საკმაოდ გამიკვირდა. ვიფიქრე,

	რა გაბედული საქციელია-თქო.
ლეტე:	გაბედული?
ფანი:	ჰო, შენ რომ მოგცეს ამის ნებართვა. საკმაოდ მყარი უნდა იყოს გარანტია იმისა, რომ ეს ჩამრთველი ნამდვილი სენსაციაა.
ლეტე:	მაღალი ძაბვის ჩამრთველი მართლაც სენსაციაა, მაგრამ მოხსენების წაკითხვის უფლება მე არ მაქვს.
ფანი:	ეს ჩამრთველის გამო კი არა, შენი კატასტროფულად შეუხედავი სახის გამოა, ამ სახით სენსაციასაც კი ვერ გაყიდი.
ლეტე:	კატასტროფული
ფანი:	დიახ
ლეტე:	ანუ კატასტროფას გულისხმობ, არა
ფანი:	დიახ
ლეტე:	საქმე უფრო უარესად ყოფილა. ამდენი ხანი როგორ გამიძელი.
ფანი:	შენ მშვენიერი ადამიანი ხარ.
ლეტე:	სახესაც თუ გავითვალისწინებთ
ფანი:	წინათ, სანამ შენ გაგიცნობდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი უშნო ქმარი რომ მეყოლებოდა, მაგრამ ახლა ეს უკვე თვალში აღარ მხვდება.
ლეტე:	იმიტომ, რომ წესიერად არ მიყურებ
ფანი:	სხვა ყველაფერი მომწონს შენში, მაგალითად, როგორ საუბრობ.
ლეტე:	ესე იგი ჩვენ უფრო აკუსტიკური ურთიერთობა გვქონია
ფანი:	ალბათ
ლეტე:	შენ მაინც გიყვარვარ, ჩემი საშინელი გარეგნობის მიუხედავად
ფანი:	დიახ
ლეტე:	ეს როგორც კომპრომისი, ისე ჟღერს
ფანი:	ასე ნუ განიცდი, მე შენ უკომპრომისოდ მიყვარხარ
ლეტე:	აი, მე ვფიქრობ, რომ შენ სულაც არ ხარ მახინჯი, ვფიქრობ, რომ უფრო ლამაზი ხარ

ფანი: დიახ, ძვირფასო. ასეც არის

ლეტე: შემიძლია ორივე თვალში შემოგხედო, მე შენთან ნამდვილ ოპტიკურ ურთიერთობას ვამყარებ

ფანი: მოხარული ვარ

ლეტე: მაგრამ ეს ორმხრივი არ არის

ფანი: არა, რა თქმა უნდა

ლეტე: აი, ეს საშინელებაა

შეფლერი: კარგად მესმის, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი

ლეტე: ასე უბრალოდ ვერ მომიცილებთ, თქვენ სახეთმცოდნეობის უბადლო სპეციალისტი ბრძანდებით

შეფლერი: დიახ, მართლაც ასეა. მაგრამ თქვენნაირ შემთხვევას პირველად მოვესწარი

ლეტე: რამდენად მძიმეა შემთხვევა?

შეფლერი: არ ვიცი, საიდან დავიწყო

ლეტე: ასე საშინელებაა?

შეფლერი: რაშია იცით საქმე, წარმოიდგინეთ მოქანდაკე: შესცქერის ქვას და იცის, რა პოტენციალის მატარებელია იგი. შემდეგ უფორმო ქვისგან ათავისუფლებს იდეალურ ფორმებს. ასეთივე დამოკიდებულება მაქვს სახეებთან. მაგრამ თქვენ შემთხვევაში

ლეტე: ჩემს შემთხვევაში რა

შეფლერი: თქვენს შემთხვევაში მე ვერავითარ პოტენციალს ვერ აღვიქვამ. ვერ ვიტყოდი, რომ აი, მაგალითად, ღაწვები კარგია და შეიძლება ეს უსაშველო ცხვირი ისე შევაკეთოთ, რომ ღაწვებს მოუხდეს და აცდენილი სახე წესრიგში მოვიდეს. ან მაგალითად, ცხვირი კარგია და ტუჩებს მივხედოთ, ისე რომ მთლიანობაში რამე გამოგვივიდეს. თქვენს სახეზე ყველაფერი არეულია. ჩემი ნება რომ იყოს, მთლიანად გადავაკეთებდი.

ლეტე: აჰა, გასაგებია, როგორ ფიქრობთ, გამოვა რამე?

შეფლერი: მე ასეთი რამ ჯერ არ გამიკეთებია

ლეტე: ჩემი შემთხვევა ინტერესს არ იწვევს თქვენში?

შეფლერი: იმის უარყოფა არ შემიძლია, ამას მართლაც აქვს თავისებური ხიბლი, მაგრამ უნდა იცოდეთ, რასაც ახლა ხედავთ, ამისგან არაფერი დარჩება

ლეტე: (ფანის მიმართვას) შენ რას ფიქრობ?

ფანი: ჩემ გამო არ არის ამის გაკეთება საჭირო. მე ისედაც ბედნიერი ვარ და არ მაღელვებს ის, როგორი ხარ

ლეტე: არ ვიცი, ჩემი გარეგნობიდან რა დარჩება. სამაგიეროდ, მეცოდინება, რომ გადაკეთებული ვარ.

შეფლერი: დაზღვევა ამას, ალბათ, უეჭველად დაფარავს, მათ ბევრი უიმედო შემთხვევის ხარჯი დაუფარავთ.

ფანი: შენ თუ ეს გაგაბედნიერებს, მე ის მახარებს, რაც შენ

ლეტე: თუ ჩემი ახლანდელი სახის ნაკვალევიც არ დარჩება

ფანი: არა უშავს, სახეში მაინც არ გიყურებ

ლეტე: მაშინ ვიღებ გადაწყვეტილებას

შეფლერი: აქ მოაწერეთ ხელი, რომ თანახმა ხართ თქვენი სახე მთლიანად შეიცვალოს.

(ლეტე ყოყმანობს)

ლეტე: როგორი იქნება

შეფლერი: რა?

ლეტე: ჩემი სახე. როგორი იქნება...

შეფლერი: წინასწარ ამის თქმა არ შემიძლია. იცით, როცა წამწამებს ვცვლი, შემიძლია ფოტო გადავიღო და აღვწერო, რისი შეცვლა მომიწევს, მაგრამ თქვენ შემთხვევაში ამის გაკეთება ოპერაციის დროს სპონტანურად მომიწევს. ეს ის შემთხვევაა, როცა უბრალოდ უნდა მენდოთ.

ლეტე: აჰა

ფანი: ვფიქრობ, შეგვიძლია, მას ვენდოთ.

ლეტე: გასაგებია, მაგრამ, თუ ჩემი სახე მთლიანად შეიცვლება, ცოტა დავმშვიდდებოდი, თუ

მეცოდინებოდა, მერე როგორი იქნება. ოპერაციის
დროს უცბად რომ ვერაფერი მოიფიქროთ, მერე რა
ვქნა, ყოველგვარი სახის გარეშე

შეფლერი: ასეთი რამ არ მოხდება. თუ თქვენ... (მხრებს იჩეჩავს)
ლეტე: თქვენ ფიქრობთ, რომ ამაზე უარესი არ იქნება?
შეფლერი: გულახდილად რომ გითხრათ...

ლეტე: მე ვაწერ ხელს (ის ხელს აწერს)
შეფლერი: აი, აქ, დაწექით ჩემს მაგიდაზე
ლეტე: შეიძლება უკანასკნელად ჩავიხედო სარკეში?
შეფლერი: რატომ?
ლეტე: ვიფიქრე, ერთხელ კიდევ შევავლებ ჩემს სახეს
თვალს

შეფლერი: ოპერაციის წინ ჯობს, გულს ნუ დაიმძიმებთ
ლეტე: კეთილი, არ ჩავიხედავ
შეფლერი: დამიჯერეთ, არაფერს კარგავთ
ფანი: მომავალ შეხვედრამდე
ლეტე: ოპერაციის შემდეგ ჩემი მეუღლე ისევ მიცნობს?
შეფლერი: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვერ გიცნობთ
ლეტე: კარგი
(ლეტე და ფანი გამომშვიდობების ნიშნად ერთმანეთს
კოცნიან. ლეტე მაგიდაზე წვება)
შეუდექით საქმეს

შეფლერი: ნემსი მოამზადეთ? (ფანი მას ნემსს აწვდის)
ცოტაოდენ ტკივილს იგრძნობთ
(შეფლერი ლეტეს ნემსს უკეთებს)
რამე ლამაზზე მესაუბრეთ.
ლეტე: არაფერი მახსენდება
ფანი: მოუყევი, როგორ გამიცანი
ლეტე: კეთილი. შენი აწეწილი თმები და თავახდილი ძარა
მახსენდება. მე გითხარი, რომ ამას
მივხედავდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა,
ყველაფერი ჭვარტლში გაეხვა. მაზუთი ხელებზე და
სახეზე მეცხო.

ჩემი სააბაზანო ოთახით შეგიძლიათ ისარგებლოთ
— მითხარი და შენი ლამაზი სახე ჩემი გაშავებული
სახის გვერდით შევნიშნე სარკეში, რომელიც მაზუთს
ისე დაეფარა, რომ აღარც კი ჩანდა. კარგია,
აბაზანაში ჩემ გვერდით რომ იყავი.

შეფლერი: თქვენ კიდევ გღვიძავთ?

ლეტე: არა

შეფლერი: ცხვირით დავიწყოთ, ყველაზე ძალიან ეს აუშნოებს
სახეს.
(შეფლერი ცხვირის მტვრევას იწყებს)
სკალპელი (ფანი მას სკალპელს აწვდის)
აქ გამისუფთავეთ. ხრტილს უნდა მივწვდე. სწორი
ფორმა აქვს?

ფანი: რა შედარებაა

შეფლერი: იმპლანტანტი მოამზადეთ ამ ადგილისთვის

ფანი: სასწრაფოდ

შეფლერი: და ერთიც აქეთ
(ფანი იმპლანტანტს აწვდის)
ცვილი

(ფანი მას ცვილს აწვდის)
ახლა გამითავისუფლეთ ადგილი ისე, რომ ნაოჭები
კარგად დავინახო (ფანი ასრულებს ექიმის ნათქვამს)
გამოტუმბეთ
კარიბჭე გამითავისუფლეთ, ლორწოვან გარსს უნდა
შევეხო (ფანი ასრულებს)
ელექტრომკვეთი მომაწოდეთ
(ფანი აწვდის ექიმს ელექტრომკვეთს. შეფლერი ჭრის)
ფორმა მაინც არ მომწონს
(შეფლერი განაგრძობს)

ძლიერი ტურბინული ფრეზი მომაწოდეთ, გეთაყვა
(ფანი აწვდის მას ფრეზს. შეფლერი დაფრეზვას იწყებს)

ფანი: ღაწვის ძვლებიც და წარბების რკალიც
ასიმეტრიულია
(შეფლერი კვლავ განაგრძობს დაფრეზვას)

მეცოდინებოდა, მერე როგორი იქნება. ოპერაციის
დროს უცბად რომ ვერაფერი მოიფიქროთ, მერე რა
ვქნა, ყოველგვარი სახის გარეშე

შეფლერი: ასეთი რამ არ მოხდება. თუ თქვენ... (მხრებს იჩეჩავს)
ლეტე: თქვენ ფიქრობთ, რომ ამაზე უარესი არ იქნება?
შეფლერი: გულახდილად რომ გითხრათ...

ლეტე: მე ვაწერ ხელს (ის ხელს აწერს)
შეფლერი: აი, აქ, დაწექით ჩემს მაგიდაზე
ლეტე: შეიძლება უკანასკნელად ჩავიხედო სარკეში?
შეფლერი: რატომ?
ლეტე: ვიფიქრე, ერთხელ კიდევ შევავლებ ჩემს სახეს
თვალს

შეფლერი: ოპერაციის წინ ჯობს, გულს ნუ დაიმძიმებთ
ლეტე: კეთილი, არ ჩავიხედავ
შეფლერი: დამიჯერეთ, არაფერს კარგავთ
ფანი: მომავალ შეხვედრამდე
ლეტე: ოპერაციის შემდეგ ჩემი მეუღლე ისევ მიცნობს?
შეფლერი: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვერ გიცნობთ
ლეტე: კარგი
(ლეტე და ფანი გამომშვიდობების ნიშნად ერთმანეთს
კოცნიან. ლეტე მაგიდაზე წვება)
შეუდექით საქმეს

შეფლერი: ნემსი მოამზადეთ? (ფანი მას ნემსს აწვდის)
ცოტაოდენ ტკივილს იგრძნობთ
(შეფლერი ლეტეს ნემსს უკეთებს)
რამე ლამაზზე მესაუბრეთ.
ლეტე: არაფერი მახსენდება
ფანი: მოუყევი, როგორ გამიცანი
ლეტე: კეთილი. შენი აწეწილი თმები და თავახდილი ძარა
მახსენდება. მე გითხარი, რომ ამას
მივხედავდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა,
ყველაფერი ჭვარტლში გაეხვა. მაზუთი ხელებზე და
სახეზე მეცხო.

ჩემი სააბაზანო ოთახით შეგიძლიათ ისარგებლოთ
— მითხარი და შენი ლამაზი სახე ჩემი გაშავებული
სახის გვერდით შევნიშნე სარკეში, რომელიც მაზუთს
ისე დაეფარა, რომ ალარც კი ჩანდა. კარგია,
აბაზანაში ჩემ გვერდით რომ იყავი.

შეფლერი: თქვენ კიდევ გღვიძავთ?

ლეტე: არა

შეფლერი: ცხვირით დავიწყოთ, ყველაზე ძალიან ეს აუშნოებს
სახეს.
(შეფლერი ცხვირის მტვრევას იწყებს)
სკალპელი (ფანი მას სკალპელს აწვდის)
აქ გამისუფთავეთ. ხრტილს უნდა მივწვდე. სწორი
ფორმა აქვს?

ფანი: რა შედარებაა

შეფლერი: იმპლანტანტი მოამზადეთ ამ ადგილისთვის

ფანი: სასწრაფოდ

შეფლერი: და ერთიც აქეთ
(ფანი იმპლანტანტს აწვდის)
ცვილი

(ფანი მას ცვილს აწვდის)
ახლა გამითავისუფლეთ ადგილი ისე, რომ ნაოჭები
კარგად დავინახო (ფანი ასრულებს ექიმის ნათქვამს)
გამოტუმბეთ
კარიბჭე გამითავისუფლეთ, ლორწოვან გარსს უნდა
შევეხო (ფანი ასრულებს)
ელექტრომკვეთი მომაწოდეთ
(ფანი აწვდის ექიმს ელექტრომკვეთს. შეფლერი ჭრის)
ფორმა მაინც არ მომწონს
(შეფლერი განაგრძობს)

ძლიერი ტურბინული ფრეზი მომაწოდეთ, გეთაყვა
(ფანი აწვდის მას ფრეზს. შეფლერი დაფრეზვას იწყებს)

ფანი: ლაწვის ძვლებიც და წარბების რკალიც
ასიმეტრიულია
(შეფლერი კვლავ განაგრძობს დაფრეზვას)

შეფლერი: ასე უკეთესია?
ფანი: მარცხნივ ცოტა მეტის აღებაა საჭირო
(შეფლერი განაგრძობს დაფრეზვას)
შეფლერი: ასე?
ფანი: (თავს უქნევს) საკმარისია
შეფლერი: გამოასუფთავეთ (ფანი ასუფთავებს)
ძაფი
(ფანი აწვდის ნემსსა და ძაფს. შეფლერი გაკერვას იწყებს)
აქ თითი დაადეთ

(ფანი თითს ადებს მითითებულ ადგილზე და შეფლერი ნასკვავს ძაფს).

ესეც ასე. ახლა თქვენ გააგრძელეთ, მე კი ხელებს დავიბან.
(ფანი დოლბანდს ახვევს ლეტეს თავზე. ლეტეს თავი მუმიასავით აქვს შეხვეული)
ფანი: არ გინდა ნელ-ნელა გამოფხიზლდე, უკვე მთელი დღეა, რაც გძინავს
(ლეტე გაიღვიძებს და წამოჯდება)

ლეტე: ვინ? მეე?
ფანი: რა თქმა უნდა, აბა, ვინ
ლეტე: დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მე მესაუბრებოდი
ფანი: როგორ გრძნობ თავს?
ლეტე: ცუდად. თავის მობრუნება არ შემიძლია

ფანი: ეს ნარკოზის ბრალია. რამე გტკივა?
ლეტე: არა, მაგრამ რადგან მკითხე, ამტკივდება
ფანი: სუფი მოგიმზადე, შეგიძლია საწრუპით მიირთვა.
ლეტე: ტკივილებს ვგრძნობ, ასე უნდა იყოს?

ფანი: არ ვიცი, სახის ოპერაცია არასოდეს გამიკეთებია
ლეტე: რატომ?
ფანი: იმიტომ, რომ მე შენსავით მახინჯი არ ვარ
ლეტე: მართალია, შენ ლამაზი ხარ. მე რა კიდევ უშნო ვარ?

ფანი: არ ვიცი
ლეტე: რაღაც დამაჯერებელი პასუხი ვერ გამეცი
ფანი: წინასწარ ვერაფერს ვიტყვი
ლეტე: ნუ ცდილობ, დამამშვიდო

ფანი: არ ვცდილობ, შენ წამოიწყე
ლეტე: ცხვირი როგორია?
ფანი: ვერაფერს ვხედავ
ლეტე: კარგად შემომხედე

ფანი: არ გამოვა
ლეტე: რატომ, უარესად მახინჯი ვარ?
ფანი: არა, იმიტომ რომ შენი სახე მთლიანად დოლბანდითაა დაფარული
ლეტე: მინდა, სარკეში ჩავიხედო
ფანი: მოითმინე
ლეტე: არ შემიძლია. ჩემი ცხოვრების განმავლობაში ჩემი სახისგან არაფერი მომითხოვია. მორჩა, ახლავე უნდა გავერკვე
ფანი: გთხოვ, ამას ნუ ჩაიდენ

(ლეტე მიდის სარკესთან, პუბლიკასთან ზურგით დგას და დოლბანდს იხსნის)

ლეტე: ოჰ, ღმერთო ჩემო
ფანი: რა მოხდა?
ლეტე: რა საშინელებაა
ფანი: იმედი გაგიცრუვდა?
ლეტე: არ გინდა, შემომხედო?

ფანი: არაა...
ლეტე: მონსტრი ვარ
შეფლერი: თავიდან ყველა შოკირებულია
(ის კვლავ უხვევს ლეტეს სახეს)

ლეტე: ჰოო? თქვენ შოკირებული იყავით?
შეფლერი: მეე?

ლეტე: თქვენი ნათქვამი ისე გავიგე, თითქოს თქვენც

შეფლერი: მეე? არა, მე ოპერაცია არასოდეს გამიკეთებია
ლეტე: აბა, საიდან იცით, თავი როგორ უნდა ვიგრძნო
შეფლერი: მე ამ დარგის სპეციალისტი ვარ
ლეტე: რაღაც თავს შეუძლოდ ვგრძნობ
შეფლერი: თავდაპირველად ყველა ჭრილობებს ამჩნევს, იქ სადაც წესით სახე უნდა იყოს, შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე ჯდება და ჭრილობის ნაკვალევიც ქრება
ლეტე: თქვენ მე ბოლო მომიღეთ
შეფლერი: იქ არაფერი იყო ბოლომოსაღები
ლეტე: ძერის ნაჩიჩქნს ვგავდი
შეფლერი: ახლა თქვენი სახე გარდამავალ ფაზაშია. ძველ მდგომარეობასთან შედარებაც არ შეიძლება
ლეტე: ძალიან მტკივა
შეფლერი: ეს ტკივილები ნორმალურია
ლეტე: არაფერიც, თითქოს გახურებული შანთებით მისერავენ სახეს, ცრემლდენაც არ მიწყდება, ყველაფერი დაჭიმული მაქვს და დასიებული. ვერ ვსაუბრობ, მტკივა.

შეფლერი: სულაც არ არის საჭირო, ისაუბროთ. დაბრუნდით ლაბორატორიაში და თქვენ ჩამრთველზე იმუშავეთ
კარლმანი: ძალიან გვიხარია, რომ დაგვიბრუნდით
ლეტე: მართლა
კარლმანი: თქვენმა უბედურმა შემთხვევამ ძალიან შემაძრწუნა
ლეტე: უბედურმა შემთხვევამ?
კარლმანი: მე ეს მკვლელობის მცდელობად აღვიქვი

ლეტე: არასასიამოვნო ნამდვილად იყო, მაგრამ სიტყვა მკვლელობა გადაჭარბებულია
კარლმანი: შეიძლება არატოლერანტულია, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი ხალხი, ისეთ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც კედელზე უნდა მიაყენო და მიახვრიტო.
შეფლერი: ბატონო კარლმან
კარლმანი: უბრალოდ კედელთან მიაყენონ და დახვრიტონ

ლეტე: ვისი დახვრეტა გსურთ?
კარლმანი: პასუხისმგებელი პირების
ლეტე: ის ცნობილი ექიმია თავისი უახლესი ინსტრუმენტებით
კარლმანი: ჩემთვის პროფესიას მნიშვნელობა არ აქვს, თუნდაც პაპი იყოს. აღარ არის საჭირო ყოყმანი, ბახ... და საქმე გაკეთებულია
ლეტე: ექიმს მე თვითონ ვთხოვე

კარლმანი: რა ბრძანეთ?
ლეტე: ხელიც კი მოვაწერეთ
კარლმანი: ალბათ, ნორმალურია, როცა ყელამდე ხართ ამოსვრილი
ლეტე: არ ვიცი, რაზე საუბრობთ
კარლმანი: თქვენს ავარიაზე, ალკოჰოლით გაჯერებულ მანქანაზე და დახაზულ ქუჩებზე
შეფლერი: (კარლმანს მიმართავს) ალბათ, ყველაფერი დაავიწყდა. შოკის ბრალია

ლეტე: თქვენ თქვით, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო (თავის შეხვეულ თავზე მიუთითებს)
კარლმანი: რა, არა?
ლეტე: ვისი იდეა იყო?
ფანი: ჩავთვალე, რომ არ იყო საჭირო, ყველას სცოდნოდა
ლეტე: რატომ, სირცხვილია?
ფანი: ჩემთვის არა, ვიფიქრე, შენთვის ასე სჯობდა
ლეტე: აჰა, სასირცხოც ყოფილა ჩემთვის, არ ვიცოდი
ფანი: არ მინდოდა, ამათი დასაცინი გამხდარიყავი

ლეტე: რა არის აქ სასაცილო?
ფანი: არ ვიცი, ალბათ, შენ შენი დოლბანდით
ლეტე: შენთვის ეს სასაცილოა?
ფანი: ჰო, ასე ვთქვათ, ცოტა უცნაური შესახედავია, არ მინდოდა, შენთვის დაეცინათ

ლეტე: შენთვის სჯობდა, ავარიაში მოხვედრილიყავი

ფანი: არა

ლეტე: არადა ასე არ არის. უბრალოდ ძალიან მახინჯი სახე მქონდა. ვფიქრობ, რომ ეს სულაც არ არის უცნაური

ფანი: ნუ გამიბრაზდები, ვიფიქრე, შენთვის ასე უკეთესი იქნებოდა

ლეტე: ბოდიში, ტკივილებმა გამაგიჟა, თანაც ჩემი სახე მაშინებს, ასე მგონია, ტვირთმზიდმა გადამიარა

შეფლერი: სულ ტყუილად გეშინიათ

ლეტე: რატომ ფიქრობთ ასე?

შეფლერი: არ ვიცი, მაგრამ თქვენი ექიმი ვარ და ასე უნდა ვთქვა

ლეტე: მაშინ მომხსენით სახვევი და ვნახოთ შედეგი

შეფლერი: კეთილი

ლეტე: ახლავე შევუდგეთ საქმეს

შეფლერი: ახლავე

ლეტე: რატომაც არა?

შეფლერი: დიახ, მეც გეთანხმებით

ლეტე: მაშინ რაღას ელოდებით?

შეფლერი: მე, არაფერს

ლეტე: მომხსენით სახვევი

შეფლერი: მეე

ლეტე: გეშინიათ?

შეფლერი: მეე?

ლეტე: თქვენ ხელებს დახედეთ, მგონი, გიკანკალებთ

შეფლერი: ეს ნორმალური სპაზმური შეკრთომაა, ასეთი რამ მემართება ხოლმე

ლეტე: მახინჯი ვარ, სახეზე, ალბათ, ზიგზაგი მექნება, არა?

შეფლერი: მე თავიდანვე გითხარით, რომ ვერაფრის გარანტიას ვერ მოგცემდით

ლეტე: თქვენ გეშინიათ

შეფლერი: მე არა, თქვენ

ლეტე: მე რა თქმა უნდა, მეშინია, ბოლოს და ბოლოს მე დამიჩეხეს სახე და არა თქვენ

შეფლერი: მართლაც, ამიტომაც მე არაფრის მეშინია

ლეტე: მაშინ ჩამომხსენით დოლბანდი

შეფლერი: მზად ხართ ამისთვის?

ლეტე: რისთვის?

შეფლერი: წარმოდგენა არ მაქვს, ჯერ მე უნდა შეგხედოთ

ლეტე: ჰოდა, ნუ აყოვნებთ

შეფლერი: მაგრამ აქეთ-იქეთ ხტუნაობა არ იყოს, სხვანაირად წარმომედგინა, უფრო მარცხნივ რატომ არ არის, ან უფრო მარჯვნივ. ყური ძალიან შუაშია, ცხვირი არ მომწონს და ასე.

ლეტე: შეწყვიტეთ კანკალი და მომხსენით დოლბანდი (შეფლერი ხსნის ნახვევს)

შეფლერი: ოჰ

ლეტე: რა ხდება?

შეფლერი: ამას არ ველოდი

ლეტე: ბედმა მიმუხთლა, ჩამიჩს ვგავარ?

შეფლერი: პირიქით, ახალდაბადებულს გავხართ (მას სარკე მოაქვს)

ლეტე: ოჰ, ეს მე ვარ?

ფანი: ეს ისაა?

შეფლერი: მე თვითონაც თვალებს ვერ ვუჯერებ (საბუთებში იხედება)

ფანი: ეს ჩემი ქმარია

ლეტე: არ ვიცი, მე ამ ადამიანს არ ვიცნობ

ფანი: მე კი ძალიან მინდა მისი გაცნობა

შეფლერი: არაორდინალური წარმატება გაქვთ

ფანი: შეიძლება შევეხო?

შეფლერი: დიახ

ფანი: ეს ასე დარჩება

შეფლერი: უახლოეს წლებში დიახ, დასანანია, რომ ჩემი ხელოვნების ნიმუში იატაკქვეშეთს ვერ გასცდება

ფანი: მალე არა. ლეტე? მიცანი?

ლეტე: შენ კი გიცანი, მაგრამ ჩემს თავს ვერ ვცნობ. ისე გამოვიყურები, როგორც ის ხალხი, რომლებისაც ყოველთვის მშურს

ფანი: არ მოგწონს შენი თავი?

ლეტე: როგორ არა, არც კი ვიცი, ნამდვილად მე ვარ

ფანი: შენი აზრით, ვინ ხარ?

ლეტე: რაღაც სხვანაირად მიყურებ

ფანი: მაინც როგორ?

ლეტე: მარტო მარცხენა თვალში აღარ...

ფანი: ეს ნამდვილი წარმატებაა

ლეტე: არ ვიცი, მაგრამ შენი გამოხედვა მიყვარდა

ფანი: ახლა სახეში გიყურებ, შენს სახეში

ლეტე: ამას თუ ჩემი ჰქვია

ფანი: თვალისფერი შენია, ხმაც, თუმცა

შეფლერი: ჩვენ ხმას არ შევხებივართ

ფანი: ჩემთვის ის მაინც სხვანაირად ჟღერს

ლეტე: ახლა რას უზამ ამ ადამიანს

ფანი: სახლში წავიყვან

ლეტე: მაშინაც ასე მითხარი

ფანი: და არა მარტო სახლში, საწოლშიც

ლეტე: მაშინ ეს არ გითქვამს. თანაც ასე სწრაფად. ვეჭვიანობ

ფანი: უნდა შემეჩვიო?

ლეტე: პირიქით, მე შენ კარგად გიცნობ. ეს შენ უნდა შემეჩვიო მე

ფანი: არა, მე შენ მომწონხარ

ლეტე: მეე? დარწმუნებული ხარ, რომ ეს მე ვარ?
(ფანი ხელს ტუჩებზე მიადებს)

ფანი: ეს მყარია, შეიძლება ვაკოცო?

ლეტე: უცხო კაცს.
(ფანი კოცნის მას)
როგორ მკოცნი?

ფანი: მაინც როგორ?
ლეტე: ხარბად
ფანი: ცუდია?
ლეტე: არა, პირიქით
(ისინი ერთმანეთს კვლავ კოცნიან)

ფანი: ახლა შენთვის სამყარო, ალბათ, სხვანაირია?
ლეტე: კაცმა რომ თქვას, არა. უბრალოდ, ცოტა სახე მაქვს მოჭიმული
შეფლერი: სხვა? რაიმე ტკივილებს ხომ არ გრძნობთ?
ლეტე: არა. მხოლოდ ძაფები უნდა ამომაცალოთ
შეფლერი: ფენომენალურია. ავარიამ ძალიან შეგცვალათ

ლეტე: ამ ბოლო დროს ეს სიტყვები ხშირად მესმის
კარლმანი: ჩვენ ახალი კოლეგა გვყავს?
ლეტე: გამარჯობათ, ბატონო კარლმან, ეს მე ვარ
კარლმანი: ვიცნობთ ჩვენ ერთმანეთს?

შეფლერი: ეს ბატონი ლეტეა, მან საოცრად კარგად დაისვენა
კარლმანი: არა, ეს ლეტე არ არის
შეფლერი: არის
კარლმანი: მე მეგონა, რომ თქვენ უბედური შემთხვევა შეგემთხვათ

ლეტე: მეც ასე მეგონა, თითქოს ტვირთმზიდმა გადამიარა სახეზე
შეფლერი: ნაიარევი თითქმის არ გემჩნევათ
ლეტე: სულ ოდნავ აქ ყურის უკან, დანარჩენი თმამ დაფარა. ისე ახლა გაკერვა კანქვეშ ხდება ან პირის ღრუდან კეთდება ოპერაცია
კარლმანი: დაუჯერებელი ამბავია. ეს ყველაფერი ასე დარჩება?
ლეტე: ალბათ, კი
კარლმანი: არადა თქვენ ყოველთვის მახინჯი იყავით
შეფლერი: დღეს დაზუსტებით ვერაფერს იტყვი. (ლეტეს მიმართავს) ჰო, მართლა თქვენთვის მინდოდა სასტუმროსთან დაკავშირებით მეთქვა: ოთახი

სამხრეთის მხარეს აიღეთ, იქეთ საოცარი
პანორამა იშლება ალპების მთებისკენ

კარლმანი: გმადლობთ, ეს უკვე მითხარით
შეფლერი: მე თქვენ?
კარლმანი: დიახ, უკვე ყველაფერი დაჯავშნულია
შეფლერი: ახლა მე თქვენ კი არა, ბატონ ლეტეს ვესაუბრები
კარლმანი: ბატონ ლეტეს?
შეფლერი: თუ თქვენც ბატონი ლეტესთვის ზრუნავთ?

კარლმანი: არა, არა, ოთახი ჩემს სახელზეა დაჯავშნული
შეფლერი: თქვენს სახელზე?
კარლმანი: რა თქმა უნდა
შეფლერი: თქვენ რაღა გინდათ ბრიგში?
კარლმანი: პრეზენტაციას არ უნდა დავსწრებოდი?

შეფლერი: რა პრეზენტაციას
კარლმანი: 2ეკ ჩამრთველი ბრიგში რომ უნდა წარმედგინა
შეფლერი: თქვენ უნდა წარგედგინათ? ეს რაღაც ახალია ჩემთვის
კარლმანი: თქვენ თვითონ არ მითხარით
შეფლერი: თქვენ რა გესაქმებათ იქ, თქვენ მხოლოდ ასისტენტი ხართ

კარლმანი: მართალი ბრძანდებით, მაგრამ თქვენ არ ბრძანეთ, რომ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, გაყიდვების ტექნოლოგიების მიზნით
შეფლერი: ბლა, ბლა, გაყიდვების ტექნოლოგიები, რას მიედ-მოედებით? ლეტემ გამოიგონა ჩამრთველი, მას უნდა ვუმადლოდეთ პატენტს. არავინაა ამ საქმეში ისე კომპეტენტური, როგორც ის.. სხვა ვერავინ წარადგენს ამ ხელსაწყოს, წარმოდგენა არ მაქვს, ასეთი რამ როგორ მოგივიდათ აზრად.

(ლეტეს მიმართავს) არ დაგავიწყდეთ აივანი სამხრეთით. თქვენ ადგილს იმ მხარეს არავის დავუთმობდი.

კარლმანი: ვფიქრობ, რომ რაღაც გაურკვევლობას ჰქონდა ადგილი

შეფლერი: მართალი ბრძანდებით. ახლა თუ შეიძლება ოთხი ყური და ოთხი თვალი გამოიბით, საქმე არ გაქვთ გასაკეთებელი?
(ლეტეს მიმართავს) ამ ადამიანს მართლაც კარგი ფანტაზიის უნარი აქვს

ლეტე: პატენტირებული მოდულარული ორმაგი ტევადობის ელექტროკოლექტორიანი ჩამრთველის დენის გამტარ მხარეს ჩადგმულია სრულიად იზოლირებული ცობოლები რეზინის შუასადებით.
გამძლეობისათვის ლატუნის საფარით დაცული ელექტრომილაკის ცოკოლის კოლოფი კარგად მაგრდება ელექტროგამანაწილებელ დაფასა და ძირითადად ფირფიტაზე და სადენის ორმხრივი გაყვანის საშუალებას იძლევა. ძლიერი კარგად მონიკელებული ჭანჭიკი იცავს ელექტრომაგნიტურ ველს, ნესტისა და მტვრისაგან, ასევე იცავს მექანიკური ზემოქმედებისაგან და დამატებით სადენს ხელ უწყობს მაღალი ხარისხის ტრანსლაციაში. სულ 16 კონტაქტი ხორციელდება ცენტრალურ ან ოთხკანტიან
მილტუჩას მოქლონში
სასურველი ჩართვის სერიის მისაღწევად როგორც მიწაზე, ასევე უსაფრთხო ელექტროწრედის შესაქმნელად. ჩრჩილვისთვის საჭირო წკირები და 2 ეკ ცობოდა პატენტირებული მოდულით მოთავსებულია იზოლირებულ გარსში და ერთმანეთში გადანაცვლდება, რომელიც კომბინირებული ჩამრთველ-ცობოლას გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ამ დროს წკირები, ძაბვის სიძლიერის მიხედვით 40 სანტიმეტრამდე სიგრძეს აღწევენ.

ფანი: 40 სანტიმეტრი, ამას სერიოზულად ბრძანებთ?

შეფლერი: ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ: ბატონო ლეტე, ჩვენი გამოგონებათა განყოფილების

ხელმძღვანელი, ქალბატონი ფანი. ნუკლეარქტიკ
საწარმოთა ჯგუფის დირექტორი

ლეტე: მოხარული ვარ

ფანი: ძალიან შთამბეჭდავია. უპირველეს ყოვლისა, დამაინტერესა კომბინირებულმა ჩამრთველ-ცობოლას გამოყენებამ.

კარლმანი: დედი

ფანი: აჰ, ეს კარლმანია ჩემი უგვანი ვაჟი

შეფლერი: უგვანი? რატომ უგვანი?

ფანი: ერთი კარგად შეხედეთ

კარლმანი: მე აქტიური დედა მყავს, ამიტომაც ყველას ჰომოსექსუალი ვგონივარ

შეფლერი: აჰ, ყველაფერი გასაგებია

ლეტე: მე უფრო ასაკიანი წარმომედგინეთ

ფანი: რატომ? გაზეთში წერია რამე ჩემს გარეგნობაზე?

ლეტე: არა, უბრალოდ

ფანი: რამდენი წლის გგონივართ?

ლეტე: ზუსტად არ ვიცი, მაგრამ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებით, ვიდრე თქვენი საკუთარი ვაჟი

კარლმანი: ასეა, იმიტომ რომ მისი ყასაბი სისტემატურად ყურებს იქეთ კანს უჭიმავს. ის 73 წლისაა.

ფანი: მერე რა?
(ლეტეს მიმართავს) თქვენ ძალიან მომხიბვლელი ბრძანდებით.
თქვენ 40 სანტიმეტრიან ჩამრთველს, დეტალურად გავეცნობოდი, სასტუმროში, ჩემს ოთახში.

კარლმანი: დედაჩემს ტექნიკაზე წარმოდგენაც არ აქვს

ფანი: კარლმანს თავი თანამედროვე ტექნიკის ექსპერტი ჰგონია

კარლმანი: (ფანის მიმართავს) ჩემით უკმაყოფილო ჯერ არავინ ყოფილა

(ლეტეს მიმართავს) უნდა გვაპატიოთ. ამ წუთს არავითარი ჩამრთველი ჩვენ არ გვჭირდება.

ფანი: შენ რა იცი, რა მჭირდება? ჩემთვის ჩამრთველი მრავალმნიშვნელოვნად ჟღერს.

კარლმანი: ოფიციალურად კონცერნს დედაჩემი ხელმძღვანელობს

ფანი: ბლა, ბლა, ვიცი (ლეტეს მიმართავს) სხვამხრივ ეს მართავს ყველაფერს, მე მხოლოდ ისღა დამრჩენია დავამთქნარო, ოჰ, ეს ჩლუნგი ძარები. აბა რა, მამამისს დრო ხომ უნდოდა ძარაზე, ქერა ნაშებთან ერექცია გამოეცადა. რა უგემოვნებობაა.

კარლმანი: შემდეგ იგი თავისი ორი ათასი საქმით 58-ე ტრასაზე ხესაც ჩაეხუტა, ძარასაც თავისთავად და ქერა ნაშასაც. თვითონ კი ერთხელ და სამუდამოდ ჯართად გადაიქცა.

ფანი: არ არის აუცილებელი სისტემატურად ამაზე საუბარი. მაღიზიანებს და თანაც ბოლო კორექტურის შემდეგ ჩემი საცრემლე არხები მწყობრში აღარ არის და სახეზე მაკიაჟი მიფუჭდება

კარლმანი: თქვენი ჩამრთველი ძალიან მოსახერხებელია, მაგრამ ჩვენი ულტრაიისფერი აპარატი ძალიან მჭიდროდაა დამონტაჟებული და ინდივიდუალურად არც ისე მოხერხებული ჩართვის შესაძლებლობას გვაძლევს.

ფანი: სულერთია. ჩვენ მაინც დავაყენებთ მის 2 ეკ- სექსი ჩამრთველებს ჩვენს ხელსაწყოებზე. ეს არაფერს ავნებს. ახლა ბართან წამობრძანდით, ცოტა მოგვიანებით კი ჩამრთველი ვნახოთ.

კარლმანი: ნურაფერს მიიღებთ სერიოზულად, ის ყოველთვის ასე იქცევა.

ლეტე: საჩვენებელი მასალა ახლა თან არ მაქვს. იქნებ თქვენ გქონდეთ?

შეფლერი: რა სისულელეა. საჩვენებელი მასალა თქვენ ყოველთვის თან გაქვთ.

ლეტე: ვიცი, რომ ეს არაპროფესიული საქციელია, მაგრამ 2ეკ ჩამრთველი თან არ მაქვს.

შეფლერი: ღრმად ჩაისუნთქეთ

ლეტე: დიახ?

შეფლერი: აქ საქმე ბროშურებს არ ეხება

ლეტე: მაგრამ ქალბატონს

შეფლერი: ქალბატონს ადამიანური მოთხოვნილება აქვს

ლეტე: ადამიანური?

შეფლერი: და თქვენ დააკმაყოფილებთ

ლეტე: მეე?

შეფლერი: და თანაც ფირმის სახელით

ლეტე: რატომ მე?

შეფლერი: ჩემთვის არ მოუმართვას

ლეტე: მერე ჩემი მეუღლე?

შეფლერი: რა სჭირს თქვენს მეუღლეს?

ლეტე: მე სახლში მეუღლე მყავს

შეფლერი: ჩვენც ყველას გვყავს სახლში ცოლი. გიხაროდეთ, რომ სახლშია და არა აქ.

ლეტე: მაგრამ მე არ ვარ.
მერჩივნა აქ ყოფილიყო

შეფლერი: თქვენ დამწყები ხართ

ლეტე: მართალია.

შეფლერი: სამომავლო გეგმები გაქვთ ცხოვრებაში, არა?

ლეტე: დიახ

შეფლერი: მაშინ ფეხს ნუ ითრევთ. გააკეთეთ რამე თქვენი კარიერისთვის

ლეტე: აჰაა

შეფლერი: გააკეთეთ რამე ჩვენთვის. თქვენი 2 ეკ ჩამრთველისათვის

ლეტე: ის, რომ ძალიან მოხუცია
შეფლერი: რა მნიშვნელობა აქვს, ეს არ ჩანს
ლეტე: სახეზე არა, მაგრამ დანარჩენი
შეფლერი: ის ქალი, სრულადაა მოჭიმული
ლეტე: სრულად?

შეფლერი: არა მგონია, ზემო ნაწილისათვის ამდენი გაიღო და ქვემო ნაწილში ეკონომია გააკეთო. ნუთუ ამ საკითხმა არ დაგაინტერესათ?
ლეტე: მეც წარმოდგენა არ მაქვს, იქ რა ხდება, სხვას არასდროს გამოუთქვამს ამის სურვილი
შეფლერი: იმიტომ რომ, ბებერი დაბეგვილი ხორცივით გამოიყურებოდით
ლეტე: მეე?
შეფლერი: საბედნიეროდ, ყველაფერმა ჩაიარა. იმოქმედეთ
ლეტე: წარმოდგენა არ მაქვს, როგორ
ფანი: ყურის უკან მომისვით ხელი
ლეტე: ააქ?
ფანი: იწვიმებს
კარლმანი: ამინდზე ძალიან მგრძნობიარეა. თავისი შრამებით გრძნობს.
ფანი: საქმე სხვა რამეშია. ყოველი ოპერაციის შემდეგ მგრძნობიარე ზონები უფრო და უფრო მატულობს კანზე. გინდათ, ნახოთ?
ლეტე: მერე თქვენი ვაჟი?
ფანი: კარლმანი? ის მხოლოდ მიყურებს

კარლმანი: მე მხოლოდ მანამდე ვუყურებ, სადამდეც თავისი გარეგნობა მოსწონს, სანამ კიდევ აკივლდება ექიმი, მინდაო.
ფანი: ეჭვიანი ბიჭია, თქვენ მას მოეწონეთ, მაგრამ თავისი გარეგნობით პერსპექტივა არ აქვს
კარლმანი: ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვუყურებდი, მას ეს სჭირდება
ფანი: ხელს გიშლით?
ლეტე: არ ვიცი, დამწყები ვარ
ფანი: მოადუნეთ თქვენი კუნთები, მუშტებს კუმავთ. ეს

	მხოლოდ ჩვენი სხეულის კომუნიკაციაა.
ლეტე:	სულ ჩემს ცოლზე მეფიქრება
ფანი:	ასე არ გამოვა, თქვენი გაუნაწილებელი კონცენტრაცია მჭირდება
ლეტე:	ის ახლა სახლშია და ჩემზე ფიქრობს, სად ვარ
ფანი:	მაშინ დაურეკეთ და უთხარით, რომ ჩემთან ხართ
ლეტე:	ასეთ საქციელს არასოდეს მაპატიებს
ფანი:	იმასაც..
ლეტე:	ასეთ საქციელს არასოდეს მაპატიებს
ფანი:	იმასაც უნდა გავუგოთ, ბოლოს და ბოლოს ასეთი სახით ერთი ქალით ვერ შემოისაზღვრებით
ლეტე:	ვერ შევძლებ?
ფანი:	თქვენი სახის შემხედვარე ვერცერთი ქალი ვერ დარჩება გულგრილი
კარლმანი:	ვერც კაცი
ლეტე:	ჩემი სახე რა შუაშია აქ
ფანი:	ოჯახური ერთგულებით ფსონს ვერ ჩახვალ, საქმე აქ ასორტიმენტს ეხება. თქვენი გარეგნობით კი ასორტიმენტი ნამდვილად დიდია, ვიდრე სხვა შემთხვევებში
ლეტე:	ის ამას გაიგებს?
ფანი:	სხვა ყველაფერი მისთვის უცხო იქნებოდა (კოცნის)
ლეტე:	სხვა ყველაფერი შენთვის იქნებოდა უცხო
ფანი:	სასაცილოდ გეჩვენება?
ლეტე:	ჩემი სახის პატრონი მთელი ცხოვრება ერთი ქალით ვერ შემოვისაზღვრები
ფანი:	ცოტა ხომ არ შეიშალე?
ლეტე:	ეს ასორტიმენტის საქმეა და ახლა უფრო მეტია, ვიდრე წინათ. ყოველი მოხსენების

შემდეგ სულ ცოტა 25 ქალი მაინც ჩადგება
რიგში ჩემს გასახდელთან

ფანი: რა უნდათ შენს გასახდელთან?

ლეტე: ავტოგრაფი

ფანი: მიეცი შენც ეგ სულელური ავტოგრაფი

ლეტე: შემდეგ იწყება კითხვების ნაკადი, რომლის
გარკვევაც მყუდრო გარემოში სურთ

ფანი: სადამდე გრძელდება ეს კითხვები?

ლეტე: ძალიან დიდხანს, ძირითადად სურთ, ჩემი
ჩამრთველი დეტალებში შეისწავლონ

ფანი: შენ გინდა ეს?

ლეტე: გააჩნია გარემოებებს

ფანი: მაგალითად, ერთი ქალბატონი
ნუკლეარქტიკში დირექტორია, თუ ეს შენთვის
პრობლემაა, მართლაც პრობლემა ყოფილა

ფანი: ვისთვის?

ლეტე: ჩემთვის

ფანი: შენთვის?

ლეტე: მე თუ პრობლემა მექნება, ადრე თუ გვიან
შენთვისაც პრობლემა იქნება

ფანი: ესე იგი, თუ ის დირექტორი შენთვის
პრობლემაა, ადრე თუ გვიან მართლაც პრობლემა
გახდება

ლეტე: დიახ

ფანი: გამოდის, რომ თავი ხელში უნდა ავიყვანო,
თორემ ადრე თუ გვიან პრობლემა შემექმნება

ლეტე: დიახ, სჯობს თავი ხელში...

ფანი: რა აქვს ასეთი იმ ქალს, რაც მე არ მაქვს?

ლეტე: გამოცდილება. სამოცდაცამეტი წლის

ფანი: ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ სექსუალური
ლტოლვა მუმიების მიმართ გექნებოდა

ლეტე: თუ ბალზამირება კარგია — გარდა ამისა

	საინტერესოდ ვსაუბრობთ
	(ფანი ლეტეს ყურს იქეთ თმებს უწევს)
ფანი	ეს რა არის?
ლეტე:	რა?
ფანი:	თქვენ ყურს უკან
ლეტე:	კიდევ მემჩნევა ნაიარევი?
ფანი:	კიდეც ვიფიქრე, რომ თქვენი სახე არაბუნებრივი იყო. ბუნება ასე უსამართლო არ იქნებოდა
ლეტე:	პირიქით, მართლაც უსამართლო იყო
ფანი:	რა მოხდა?
ლეტე:	არაფერი, უბრალოდ ძალიან მახინჯი ვიყავი. ძალიან უსამართლოა ბუნება.
ფანი:	ვერ წარმომიდგენია
ლეტე:	წარმოუდგენელიც იყო
ფანი:	საწყალი ლეტე, ალბათ, ძალიან იტანჯებოდით
ლეტე:	არა, უფრო ჩემი ცოლი
ფანი:	შეიძლება ნაიარევს ვაკოცო?
ლეტე:	როგორც გნებავთ (ის მას ყურს უკან კოცნის) ოჰ
ფანი:	გესიამოვნათ
ლეტე:	არ ვიცოდი, თუ ამგვარი შეგრძნებები არსებობდა
ფანი:	გასაკვირია, არა
ლეტე:	რამდენი რამ გვაქვს საერთო
ფანი:	შენ მართლაც შეიშალე
ლეტე:	შესაძლებელია, მაგრამ ასორტიმენტი მართლაც დიდია
ფანი:	ოცდახუთი?
ლეტე:	დაახლოებით
ფანი:	მე რა ბედი მეწევა
ლეტე:	შენ რა შუაში ხარ, საქმე აქ მე მეხება

ფანი: მე თუ არ აგიბი მხარი?
ლეტე: მაშ რას იზამ?

ფანი: მაგალითად, თუ შენზე უარი ვთქვი?
ფანი: უბრალოდ თუ წავედი?
ლეტე: სად გინდა წახვიდე?
ფანი: წავალ და მარტო დაგტოვებ შენს 25 ქალთან ერთად
ლეტე: 25 ქალთან ერთად რაღა მარტო ყოფნაა
ფანი: მართალია

ლეტე: მარტო დარჩები. ასე სწრაფად ვერავის იპოვი, ყოველი შემთხვევისთვის ისეთს, ასე კარგად რომ გამოიყურებოდეს, როგორც მე?
ფანი: მაშინ მე 26-ე ვიქნები, ალბათ
ლეტე: შენ 1 ხარ, მერე კი დანარჩენები მოდიან
ფანი: მეც მივიღებ ავტოგრაფს?
ლეტე: შენ ისეც შეგიძლია, შემათვალიერო. მაგალითად, როცა მძინავს, მთელი ღამე, როცა სახლში მძინავს
ფანი: ავტოგრაფი თუ მექნება, დავხედავ, მაინც, ნომერ 2-თან რომ იქნები
ლეტე: ჰოო
ფანი: ან ნომერ სამთან
ლეტე: ისე ცუდი იდეა არ არის
ფანი: ან ნომერ 4-თან, ან 3-თან
ლეტე: ჰმ
ფანი: ან ნომერ 6-თან

ლეტე: დიახ
ფანი: ან ნომერ 7-თან
ლეტე: გავიგე
ფანი: ან ნომერ 8-თან
ლეტე: საკმარისია

ფანი: ან ნომერ 9-თან
ლეტე: ან ნომერ 10-თან, ვიცი
ფანი: ან ნომერ 11-თან

ლეტე: ან 12,13, 14, 15-თან, მიგიხვდი

ფანი: 16, 17

ლეტე: რა არაჩვეულებრივად ითვლი

ფანი: 18, 19

ლეტე: 13, 16, 12

ფანი: 20, 21, 22

ლეტე: აღგზნებული ხარ

ფანი: ან ნომერ 23, 24, ან 25 თან მე არ მეცოდინება, სად იქნები, ყოველი მოხსენების შემდეგ სადღაც იქნები, საიდან უნდა ვიცოდე, როცა ამდენნი არიან, 1, 2, 3, 4, 25, საიდან უნდა ვიცოდე?

შეფლერი: თქვენთან წინადადება მაქვს

ლეტე: სწრაფად მითხარით, ისევ უნდა წავიდე

შეფლერი: რა თქმა უნდა, არაორდინალურად ბევრი წყალობა გაქვთ ღვთისაგან

ლეტე: ვიცი

შეფლერი: ჩემ მიერ გამოგონილი ახალი სკულპტურების მეთოდი სახის მთლიან პარტიაზე, ყურადღების ქვეშ მოექცა და საჯაროობის ფოკუსში მოვხვდი

ლეტე: თქვენ? მე კი მეგონა მე?

შეფლერი: ვინ?

ლეტე: დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ მოხვდით იმ საჯაროობაში?

შეფლერი: თავისთავად, სხვა ვინ უნდა მოხვედრილიყო?

ლეტე: ისევ და ისევ ჩემს სახეზე ვსაუბრობთ და არა თქვენზე

შეფლერი: კამათი არ მინდა

ლეტე: რისი თქმა გსურთ? საკმაოდ გაბრაზებული ვარ

შეფლერი: მრავალი შემოთავაზება მაქვს ჩემს ახალ მეთოდთან დაკავშირებით მოხსენებათა სერიის ჩასატარებლად მინდოდა, მეთხოვა, რომ ამას თქვენც დასწრებოდით

ლეტე: აჰა, გასაგებია

შეფლერი: ასე ვთქვათ, სადემონსტრაციო მასალა

ლეტე: მე მასალა არ ვარ

შეფლერი: ოდნავადაც არ გიზიდავთ ჩემი წინადადება?

ლეტე: დიაფილმის ჩვენება ძველი და ახალი სახით არ შეიძლება?

შეფლერი: არა. მე მსურს სპეციალისტების თანდასწრებით გულღიად მოყვეთ, ჩემმა ჩარევამ როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება. რა თქმა უნდა, დადებითი მნიშვნელობით

ლეტე: დადებითად

შეფლერი: დიახ

ლეტე: მაგრამ მე დრო სავსებით არ მაქვს

შეფლერი: ბევრ ფულს გადაგიხდით

ლეტე: კარგი

შეფლერი: თქვენ კიდევ უფრო ცნობილი გახდებით

ლეტე: ასეც არის. მე მოდულარული 2ეკ ჩამრთველის პატენტს ვფლობ

შეფლერი: ქალბატონებო და ბატონებო, აქ თვით ლეტე ბრძანდება საკუთარი პერსონით. დააკვირდით ამ ნაკვთებს და შეიცანით სრულფასოვნება.
თუ შეიძლება, გულღიად უპასუხეთ იმ კითხვას, რომელსაც ახლა დაგისვამთ და ნათელი მოჰფინეთ ყველაფერს. რსებობს წუნდაუდებელი სახე? გაიღებდით თუ არა ყველაფერს მას რომ ჰგავდეთ? გაიღებდით თუ არა ბევრ, ბევრ ფულს?
დღეს მე თქვენ დაგიმტკიცებთ,
რომ შესაძლებელია. მე გთავაზობთ თქვენ ამ ერთადერთ შესაძლებლობას. რამდენიმე ჭრილობა და სულ სხვა ადამიანი გახდებით. ახლა კი მოისმინეთ პირველწყაროდან, როგორ შევცვალე ჩემი ხელოვნებით ბატონი ლეტეს ცხოვრება.
ბატონო ლეტე, როგორ გრძნობთ თავს?

ლეტე: კარგად

შეფლერი: როგორ გრძნობდით თავს ოპერაციამდე, სანამ ჩემს უახლეს მეთოდს თქვენი თავის ფრონტალური ნაწილის დამუშავებისთვის გამოვიყენებდი?

ლეტე: როგორ?
შეფლერი: დიახ
ლეტე: აჰ, როგორც მახსოვს, მშვენივრად
შეფლერი: მართლა? თქვენ არაორდინალურად მახინჯი იყავით, არა? ჩვენ ეს-ესაა დიაფილმი ვიხილეთ
ლეტე: გადაჭარბებული ნათქვამია, უბრალოდ, ამგვარად ადამიანები არ გამოიყურებიან
შეფლერი: ასეა თუ ისე. თქვენ კარგად გრძნობთ თავს, არა?
ლეტე: დიახ. ახლახან ბანკში ვიყავი და სოლიდური ჩეკი გავანაღდე, შემდეგ სადილზე მივდივარ, ვისთან ერთად ჯერ ზუსტად არ ვიცი. ვისაც სურვილი ექნება, შეუძლია მოგვიანებით დამიკავშირდეს, სადმე ადგილს გამოვუძებნი

შეფლერი: ისე ულერს, როგორც ბობოქარ ცხოვრებას ჩვევია
ლეტე: დიახ, საკმაოდ მოშვებული ვარ

კარლმანი: მოგწონთ ის?
ფანი: მე მისი ცოლი ვარ
კარლმანი: ოჰ, ვწუხვარ
ფანი: არ მგონია, მართლა წუხდეთ
კარლმანი: აუტანლად მიმაჩნია ასეთი კაცის ცოლობა
ფანი: კი, მაგრამ ვინ ბრძანდებით, ამდენს რომ ლაყბობთ?

კარლმანი: კარლმანი. მე მისი ასისტენტი ვარ. მე მასთან ერთად 2 ეკ-ზე ვმუშაობდი
ფანი: ბატონი კარლმანი, დიახ, გიცნობთ. საშობაო ზეიმის დროს კაბაზე გლინტვეინი გადმომასხით
კარლმანი: ალბათ, ნასვამი ვიყავი, არ მახსოვს
ფანი: იქ ძალიან სასაცილო მახსოვხართ
კარლმანი: თქვენც თუ ამყვებით?

ფანი: რას გულისხმობთ?

კარლმანი: თქვენც შეუერთდით იმ რიგს და იმედი იქონიეთ, რომ სასტუმრო ოთახში წასაყვანად თქვენ ამოგირჩევთ

ფანი: არა, მე საკუთარი ოთახი მაქვს. სხვა სასტუმროში

კარლმანი: ისეთ ქალბატონს, როგორიც თქვენ ხართ

ფანი: როგორ ქალბატონს?

კარლმანი: ძალიან მომხიბვლელს. ერთ დღესაც შურისძიება, თუ მოგინდებათ ჩემზე იფიქრეთ

ფანი: რა საყვარლობაა, ასეთი რამის თქმა. არადა მე მის სახეზე ვარ ჩაციკლული. თქვენ კი მასთან შედარებით ჩამრთველს გიგავთ სახე. ეს რომ გაიგოს, ძალიან დამცინებს.

კარლმანი: ის ნამდვილი მასხარაა. გამოყრუებული ბეხრეკი, ადულებული ჩეჩმა. კვლევებსაც აღარ ატარებს

შეფლერი: რატომ მოხდა ისე, რომ სულ ის უკეთებს ჩვენს პროდუქციას პრეზენტაციას

კარლმანი: თქვენ მის სახეს გულისხმობთ, ალბათ, ის მარტო თავის პრეზენტაციას აკეთებს და მეტი არაფრის. ჩამრთველი რა არის, მას უკვე დიდი ხანია დაავიწყდა, ჯობს კულინარული რეცეპტები მოაყოლოთ

შეფლერი: მერე რა. შემოსავალი 70 პროცენტით გაიზარდა. გარდა ამისა, ჩვენ თქვენ გვყავხართ. კვლავ 2 ეკ-ჩამრთველზე მუშაობს?

კარლმანი: ახალი გამოგონება ხისტი ინდუსტრიისთვის მეც მაქვს — 2ელ, რომელიც ზეთგამძლეც არის და ნესტისგან დაცულიც. იგი შეიძლება უბრალოდ კუთხურ კავურ-მოქლონებს ან პრესსაყელურებს მოყვეს. ახლებური მომტკიცის კონტაქტები სხვადასხვა სახის ელექტროგაყვანილობის გადამკვეთ ხაზებთან შეერთების შესაძლებლობას იძლევა, 2 ელ ვერსიაში პარალელურად ჩამრთველის კოლოფზე ჩამკეტი პნევმატიკური ჭანჭიკები წნევის დიაპაზონით

35-ჯერ მაღალ მოთხოვნას უძლებს

შეფლერი: არაჩვეულებრივია, თავის მტვრევა აღარ მჭირდება, როდის მოხდება ამ საგნის სერიული წარმოება?

კარლმანი: ახლავე

შეფლერი: ლეტე!

ლეტე: დიახ?

შეფლერი: თქვენ კვლავ უნდა გაემგზავროთ

ლეტე: სად?

შეფლერი: თქვენ ბრიგის კონგრესზე 2 ელ უნდა წარადგინოთ

ლეტე: 2 ელ, მას ხომ 2 ეკ ჰქვია?

კარლმანი: კი მაგრამ, ბატონო

შეფლერი: ბატონი კარლმანის ახალ ჩამრთველს 2 ელ ჰქვია

ლეტე: როდიდან აქვს კარლმანს ჩამრთველი?

კარლმანი: დიახ, მას 2 ელ ჰქვია და ის მე გამოვიგონე

შეფლერი: თქვენ კიდევ აქ ხართ? რა გნებავთ?

კარლმანი: 2 ელ ჩემი შემოქმედებაა, მე თვითონ სიამოვნებით წარვადგენ მას ბრიგში

შეფლერი: თქვენ?

კარლმანი: ვფიქრობ, რომ ამის სრული უფლება მაქვს

შეფლერი: რატომ გგონიათ?

კარლმანი: ჩამრთველი მე გამოვიგონე, ყველა წვრილმანი ვიცი, ჩემზე კომპეტენტურად ვერავინ წარადგენს 2 ელ-ს

შეფლერი: ბლა, ბლა, ბლა, რაღაც ორიოდე ციფრი

ლეტე: თუ ჰგონია, რომ თავის გამოჩორკნილს ამ სახით გაყიდის

შეფლერი: ასე ნუ ცხარობთ, ბატონო ლეტე

(კარლმანს მიმართავს) ექსპერიმენტების დრო არ არის. ხომ გსურთ, რომ თქვენმა 2 ელ წარმატება მოიპოვოს?

კარლმანი: დიახ, მაგრამ

შეფლერი: ამიტომ (ლეტეს მიმართავს) ჩაალაგეთ თქვენი ჩემოდანი და ოთახი დაუკვეთეთ ექსცელიოზში სამხრეთის ხედით. (კარლმანს მიმართვას) თქვენი

სახე ასე თუ ისე წესრიგშია, მაგრამ ჩამრთველი არცთუ მიმზიდველია, თანაც რთული ხელსაწყოა. სჯობს, ხალხმა მას არ დაუწყოს გულდასმით თვალიერება, ამიტომაც გვჭირდება ისეთი რამ, რაც უფრო მიიქცევს ყურადღებას, ლეტეს შეუდარებელ სახეს შეუძლია ცნობისმოყვარე მზერას თვითონ გაუძლოს და საცოდავ 2 ელ-ს თავიდან ააცილოს.

ლეტე: ნუ მოიწყენ კარლმან, ყველას არ აქვს ისეთი სახე როგორც მე.

ფანი: მეც ასე მეგონა, ახლა უკვე ეს მესამეჯერ მოხდა

ლეტე: რა?

ფანი: თავიდან სუპერმარკეტში. შემდეგ ავტობუსში, ახლახან კი სკვერში.

ლეტე: სკვერში?

ფანი: მე სკამზე ვიჯექი. უცბად ვიღაც ჩემ გვერდით ჯდება, მე გავიხედე და ეს შენ იყავი

ლეტე: მე?

ფანი: დიახ. ახალი პალტოთი, მე დაგაკვირდი, უცბად, მოკირწყლულ გზაზე ვიღაც ქალი გამოჩნდა, შენ მას აკოცე

ლეტე: მე არ

ფანი: შემდეგ კი პირი გააღე და იმ ქალს ესაუბრებოდი, მაგრამ შენი ხმა სხვანაირად ჟღერდა. იმ ქალმა თქვა, რომ როგორც ჩანს ოპერაციამ კარგად ჩაიარა, და შენ ისევე გამოიყურები, როგორც სურათზე

ლეტე: მე სკვერში საერთოდ არ ვყოფილვარ

ფანი: ვიცი, ის სხვა ადამიანი იყო, შენნაირი სახით

ლეტე: ჩემნაირი სახით?

ფანი: აი, (ის მას ბროშურას აწვდის) დღეს უკვე ეს მესამეა.

ლეტე: ეს რა ნიშნავს?

ფანი: ეს იმ ქალმა ამოიღო თავისი ჩანთიდან. დოქტორ შეფლერის ბროშურაა შენი სურათით, ეს იმ ქალმა მომცა. რადგან გაოგნებული მივშტერებოდი. ეს თქვენი მეუღლისთვისო — ასე მითხრა

ლეტე: მაგრამ მე. მე ხომ

შეფლერი: ნუ აღელდებით. თქვენს ადგილზე ვიამაყებდი
ლეტე: იამაყებდით?

შეფლერი: ყველას უნდა თქვენსავით გამოიყურებოდეს
ფანი: ცოტა არ იყოს გამაღიზიანებელია. ყველა კუთხეში
თუ ჩემს ქმარს ნავაწყდები
შეფლერი: რატომ? არ მოგწონთ თქვენი ქმარი?
ფანი: დიახ, მაგრამ ეროტიკულ ორიენტაციაში როგორ
გავერკვე?
შეფლერი: თქვენი ცხოვრება დამატებითი ხიბლით შეივსება
ფანი: გადაჭარბებული ხიბლია. დაბნეული ვარ
ლეტე: ის დაბნეულია. არ მინდა, ჩემი ცოლი დაბნეული
იყოს (კარლმანს მიმართავს) თქვენ აქ რას აკეთებთ?
კარლმანი რა თქვენი საქმეა?
ლეტე: როგორც ჩანს, ჩემი სახე ძალიან მოდური გახდა
შეფლერი: ეს თქვენი სახე არ არის. ეს მე მოვიფიქრე
ლეტე: ცოტაოდენი ვარირება მაინც არ შეგიძლიათ?
შეფლერი: ასეთი სურვილი არავის გამოუთქვამს. დამნაშავე
თქვენ თვითონ ხართ
ლეტე: ახლა ამ თავს უკეთებთ ოპერაციას?
შეფლერი: თუ მას საკმაო თანხა აქვს

ლეტე: ნუთუ აუცილებელია ამის გაკეთება?
ის ჩემი კოლეგაა, ამ ყველაფერმა შეიძლება
დაბნეულობა გამოიწვიოს
შეფლერი: სხვათა შორის, აი, ფული: ეს ჰონორარია თქვენი
ბოლო მოხსენებების ციკლიდან
(აძლევს მას ფულს. ლეტე ითვლის)

ლეტე: ეს ძალიან ცოტაა
შეფლერი: არა
ლეტე: კი. ორიათას ხუთასი უნდა იყოს, აქ კი ათას
ორასია
შეფლერი: დიახ, ფასები იცვლება
ლეტე: თუ თანხა შეიცვლება, მაშინ აღარც მე ვიქნები
თქვენთან
შეფლერი: კარგი

ლეტე: რაა?

შეფლერი: მე ვთქვი: მაშინ კარგი

ლეტე: თქვენ თანახმა ხართ? თქვენი ბიზნესი ჩემზეა დამოკიდებული

შეფლერი: არა

ლეტე: არა?

შეფლერი: როგორც ჩანს, დაგავიწყდათ, რომ თქვენი სახე ერთადერთი ეგზემპლარი არ არის

ლეტე: ეს ხომ

შეფლერი: ეს მწარე სიმართლეა. ამ სახის მატარებლები კერძო ურთიერთობებში არა მარტო სასიამოვნო, არამედ უფრო იაფნიც არიან

ლეტე: მაგრამ სხვები ნამდვილნი არ არიან

შეფლერი: არც თქვენ ხართ ორიგინალი. ასე თუ ისე უკვე მოვიფიქრე, როგორ დავგეგმო ჩემი ტურნეები უფრო მოხერხებულად. ყოველთვის ვერ გავუწევ თქვენს პრეტენზიებს ანგარიშს

კარლმანი: მორჩით საუბარს, რაღაც სულიერად დათრგუნული ვარ ამ ოპერაციის გამო, ლოდინი ბოლოს მიღებს, მინდა, დღესვე გავიძრო ძველი კანი

შეფლერი: (ლეტეს მიმართავს) მაპატიეთ, ჩემი პაციენტი

ლეტე: თქვენი პაციენტი ჩემი ასისტენტია. კარლმანი. მე გიკრძალავთ, ისარგებლოთ ჩემი სახით

კარლმანი: ჩემი გამოგონება შეგიძლიათ მომპაროთ და ისე მოიქცეთ, თითქოს თქვენი იყოს, რაც შეეხება ჩემს სახეს, როგორ მოვექცევი, ჯერ კიდევ ჩემი გადასაწყვეტია

ლეტე: აქ საქმე ეხება არა თქვენს, არამედ ჩემს სახეს

კარლმანი: ის თქვენ დიდი ხანია აღარ გეკუთვნით

შეფლერი: ცხვირით დავიწყოთ, ის ყველაზე თვალში საცემია და სახიდან განზე გასული

ფანი: ქრისტიან, როგორ სახეს იკეთებ?

ლეტე: ქრისტიან?

კარლმანი: დედი, ეს ქრისტიანი არ არის, ეს ლეტეა
ლეტე: ქრისტიანი ვინღაა?
კარლმანი: ერთი ტიპია, კოქტეილბარში პიანინოზე უკრავს
ფანი: მართლა, ის ქრისტიანს ძალიან ჰგავს

ლეტე: ვინ, თუ ასეა, ის ქრისტიანი მგავს მე
ფანი: ამას რამე მნიშვნელობა აქვს?
ლეტე: ჯერ მე ვიყავი
კარლმანი: ბოლო კვირას აღარ, ისიც ადგა და ქრისტიანს გაჰყვა
ფანი: მთავარია, რომ ახლა შენ ხარ აქ, არა?
ლეტე: მე პიანინოს დაკვრა საერთოდ არ შემიძლია
კარლმანი: არ გინდა, გაიხადო?
ლეტე: არა
ფანი: წამო კარლმან, გახადე ამ ჯიუტ კაცს. საუნაში გვინდა წასვლა

კარლმანი თუ ასე მიგეჩქარება
ლეტე: მოითმინეთ, მოითმინეთ
ფანი: რა ხდება?
ლეტე: რა უთხარი, იმან უნდა გამხადოს?
ფანი: კარგი რა, მიანიჭე პატარას სიამოვნება
ლეტე: არ მსურს, მან ჩემ ირგვლივ იხვანცალოს
კარლმანი: რატომ, მე შენთვის არაფერი დამიშავებია
ლეტე: მე უფრო დედაშენთან მაქვს საქმე
კარლმანი: მერე რა? ეს მას ხელს სულაც არ უშლის

ფანი: პირიქით
ლეტე: მე კი
ფანი: კარლმანი არ მოგწონს?
ლეტე: ეს არ მიგულისხმია
ფანი: რას ფიქრობ მასზე?
ლეტე: მაგაზე არ მიფიქრია
კარლმანი: დედი
ფანი: მგონი, უფლება მაქვს ვიკითხო
ლეტე: ახლა, ეს ჩემთვის ძალიან ჰორმონალურია
კარლმანი: დედი, ასე უნდა იყოს?

ფანი: (ლეტეს მიმართავს) უბრალო ცნობისმოყვარეობაა, მას თავზე ისეთი წარმოდგენა აქვს. სულ სარკის წინ დგას და თავის ცხვირს მისჩერებია. ამბობს, მამის ცხვირი მაქვსო

ლეტე: აჰა?

ფანი: ჰოდა, ის ერთადერთი იქნებოდა. შენ რას ფიქრობ მის ცხვირზე?

ლეტე: ცხვირზე?

ფანი: ჰო, ცხვირი, რას ფიქრობ მის ცხვირზე?
(ლეტე კარლმანის ცხვირს აკვირდება)

ლეტე: ცხვირია რა

კარლმანი: დედი, რცხვენია

ფანი: ხედავ, ისეთი არც არაფერი სჭირს ცხვირს. გაწიე-გამოწიე საშუალო დონე ხარ

კარლმანი: დედი...
(ტირის)

ლეტე: არ მინდოდა ამის თქმა, უბრალოდ ეს იმის ბრალია, რომ მე კაცებთან

კარლმანი: კარგად გავიგე, არ მოგწონვარ

ლეტე: არა, არა, ამის თქმა არ მინდოდა

კარლმანი: რა თქმა უნდა, შენს ცხვირში ვერ შეგეჯიბრები

ლეტე: არა, კარლმან, ნუ მოიწყენ, გეთაყვა

ფანი: ნამდვილი ქაოსია, ბოლოს და ბოლოს არ უნდა გაიზარდო?

კარლმანი: რა ვქნა, აქტიური დედა მყავს

ფანი: არც კი გრცხვენია ბღავილის

კარლმანი: ეს ძალიან მტკივნეულია, სასტიკად მტკივნეულია

ფანი: დიახ, ჩემი ქმარიც ამას ამბობდა ოპერაციის შემდეგ

კარლმანი: მე მისით აღფრთოვანებული ვიყავი, 2ეკ რომ გამოიგონა მიუხედავად იმისა, რომ მართლაც ძალიან მახინჯი იყო. მაშინ ფირმაში უბრალო, მბჟუტავი სინათლე ვიყავი

ფანი: ახლა თქვენ უცბად მწვერვალზე აღმოჩნდით. ახალი სახე კი პროპელერის სისწრაფით ცხოვრების გეზს შეგიცვლით

კარლმანი: დიახ, ახლა ვეღარაფერი შემაჩერებს
ფანი: თქვენ მე მას მაგონებთ
კარლმანი: მართლა? სახეს გულისხმობთ
ფანი: მარტო სახე არა. ეს შემართება. ფაქტობრივად, ძრავის ხმა ისმის, რომელიც თქვენს პერსონას ამოძრავებს
იცით, მაშინ მე რა ჩავიდინე?
კარლმანი: როდის?
ფანი: ჩემს ქმარს რომ ტკივილები ჰქონდა?
კარლმანი: ბატონო?
ფანი: აი ეს. (ის კარლმანს კოცნის)
გიშველათ?

კარლმანი: მგონი კი
(ფანი მას კვლავ კოცნის)
ფანი: ასე უკეთესია?
კარლმანი: ბევრად უკეთესი
(ფანი კვლავ კოცნის) ასე იმიტომ იქცევით, რომ გინდათ მასზე შური იძიოთ?
ფანი: არა, უბრალოდ თქვენი სახე ძალინ მომწონს
(ისინი ლოგინში აღმოჩნდნენ)
კარლმანი: შენ საუკეთესო ხარ, დედი, ადრეც და ახლაც
ფანი: შენც ჩემო პატარავ
ლეტე: მე?
ფანი: შენ არ მოინდომე ჩვენთან
ლეტე: არ შემიძლია შენი შვილის თანდასწრებით
კარლმანი: ამას იმიტომ ამბობ, რომ ბოლო გინდა მომიღო'
ფანი: (ლეტეს მიმართავს) აქამდე პრობლემა არც გქონია
ლეტე: რას მეუბნები?
კარლმანი: დედი, ის ქრისტიანი იყო, გეშლება
ფანი: ეს ქრისტიანი არ არის?
კარლმანი: არა, დედი, ეს ლეტეა

ფანი: მართლა? არადა ქრისტიანს ძალიან ჰგავს, არა?
კარლმანი: იდენტურია, მაგრამ მაინც არ არის ის
ფანი: როგორ უნდა მივხვდე?
კარლმანი: მაგალითად, იმაზე, რომ მას ის პრობლემა აქვს

ლეტე: მე პრობლემა არ მაქვს. პრობლემა თქვენ გაქვთ
შეფლერი: მე საერთოდ არანაირი პრობლემა არ მაქვს
ლეტე: როგორ არა. თქვენ ჩემ გარეშეარაფერი ხართ

შეფლერი: ასე თქვენ ფიქრობთ. შემიძლია საერთოდ გაგაძევოთ
ლეტე: მერე ჩამრთველები, როგორ გინდათ
შეფლერი: უკვე მრავალი თვე გავიდა, რაც ახალი არაფერი შეგიქმნიათ
ლეტე: სამაგიეროდ, პრეზენტაციებს ვაკეთებ, მაგალითად, კარლმანის 2 ელ ჩამრთველის ხისტი ინდუსტრიისთვის, რომელიც, რა თქმა უნდა, ბრწყინვალედ წარმოვადგინე, ის ჩამრთველები ისე გაბრწყინდნენ, როგორც, როგორც, როგორც
— ფანჯრის მინა

შეფლერი: მომავალში კარლმანი თვითონვე წარადგენს მათ
ლეტე: თქვენ თუ ამას შეძლებთ, თქვენი ჩამრთველების ამ სახით პრეზენტაცია..
შეფლერი: ბატონო კარლმან? თუ შეიძლება მობრძანდით? (კარლმანი შემოდის)
ნუთუ ასე მიუღებელია ეს სახე?
ლეტე: ეს უნამუსობაა

შეფლერი: ეს თქვენი სახეა
ლეტე: ზუსტად, ეს ჩემი სახეა
კარლმანი: მომავალში ჩემი გახდება
შეფლერი: ეს თქვენ გაარკვიეთ, მანამდე მე ხილს გავითლი
ლეტე: მომხმარებელი ჩემზეა დამოკიდებული, ისინი მიცნობენ, მენდობიან, სჯერათ ჩემი. ჩემი სახით პასუხს ვაგებ ხარისხზე, უწყვეტ მიწოდებაზე.
შეფლერი: თქვენი საკუთარი წარმოება კი საკმაოდ ჩაეშვა
კარლამნი მომხმარებელი საერთოდ ვერ შეამჩნევს, რომ თქვენმაგივრად მე ვუკეთებ ჩამრთველებს პრეზენტაციას
ლეტე: თქვენ მე მუდმივ კლიენტებს მპარავთ

კარლმანი: ის უკვე დიდი ხანია რაც ჩემია. თქვენი 2 ეკ-ს შემდეგ მხოლოდ ჩემს პროდუქტს უკეთებდით პრეზენტაციას, ასე რომ, ძლიერი სიმძლავრის ჩამრთველების კლიენტურა მე მეკუთვნის

შეფლერი: ჩვენ ჩვენ აღარ გვჭირდებით

ლეტე: რაა?

შეფლერი: ჩვენ თქვენ აღარ გვჭირდებით

ლეტე: ეს აღარ გაიმეოროთ

შეფლერი: თუ შეიძლება, მიბრძანდით აქედან

ლეტე: თქვენ მე ქუჩაში მაგდებთ

შეფლერი: დიახ

ლეტე: თქვენ მე ქუჩაში მაგდებთ

ფანი: შენ? ჰო, მაგრამ ძვირფასო, შენ ახლახანს არ გამოიგონე 2ელ ჩამრთველი

ლეტე: ეს მე კი არა, კარლმანი იყო

ფანი: შენ ხომ კარლმანი ხარ

ლეტე: არა, ლეტე ვარ

ფანი: თქვენ ლეტე გააგდეთ?

ლეტე: დიახ, მაგრამ ის მე ვარ

ფანი: დიახ, ლეტე, უკვე დიდიხანია ცხადი იყო, რომ მოისვრიდნენ

ლეტე: მე ვარ ლეტე!

ფანი: შენ?

ლეტე: დიახ

ფანი: შენ კარლმანს ჰგავხარ

ლეტე: ვინ, კარლმანი მგავს მე

ფანი: არა უშავს, ასე თუ ისე მაგრად გამოიყურები

ლეტე: კარლმანივით

ფანი: ძალიან მიყვარს შენი წარბების ყურება, ასე რომ აკეთებ

ლეტე: მაშინაც გიყვარს კარლმანი რომ აკეთებს?

ფანი: რა თქმა უნდა, ძვირფასო

ლეტე: ახლა ძვირფასოო მინოდებ

ფანი: დიახ, ძვირფასო, რატომაც არა
ლეტე: ეს ადრე არასოდეს გითქვამს
ფანი: როგორ არა, მაშინვე როგორც კი შემოხვედი
ლეტე: როცა კარლმანი გეგონე
ფანი: როგორ უნდა გაგასხვაოთ ერთმანეთისაგან?
ლეტე: რატომ უწოდებ კარლმანსაც ძვირფასს?

ფანი: არა, ის ხომ შენ იყავი
ლეტე: შენ კარლმანი იგულისხმე
ფანი: ასე მნიშვნელოვანია?
ლეტე: როგორ შეიძლება არ იყოს ეს მნიშვნელოვანი?
ფანი: თუ თქვენ გაჭრილი ვაშლივით ჰგავხართ ერთმანეთს?
ლეტე: ძვირფასო. რა საშინელი სიტყვაა, ძვირფასო
ფანი: მაშინ შენთვის სულერთი არ არის, თუ ასე შენ არ მოგმართავ
ლეტე: მგონი შეიშალე, არა?
ფანი: ნუ მიყვირი. კარლმანი არასოდეს მიყვირის
ლეტე: შენ მე მღალატობ
ფანი: არა. მე მხოლოდ კარლმანთან მძინავს, რადგან ის ისევე გამოიყურება, როგორც შენ
ლეტე: მე კი მეგონა, მე ვგავდი მას
ფანი: ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. ვინ ვის ჰგავს
ლეტე: ძალიან კარგი
ფანი: დამიჯერე, მე მხოლოდ შენ მინდიხარ
ლეტე: როგორც ჩანს მე მე არ ვარ
ფანი: წინათ ყველაფერი უფრო მარტივად იყო
ლეტე: საერთოდაც, რატომ გამივიდა ვადა, რატომ გამაგდეს, მე 2 ეკ. გამოვიგონე, პატენტი მე მაქვს, მე ვიყავი პირველი, ვინც ჩამრთველი გამოიგონა მე ვიყავი პირველი, ვინც სახე — მე- მე - დამიბრუნეთ ჩემი სახე

შეფლერი: ეს შეუძლებელია
(შეფლერი კარლმანის ოპერაციისთვის ემზადება)
ლეტე: რატომ?
შეფლერი: თქვენ უკვე გაიკეთეთ ოპერაცია
ლეტე: აღარ მინდა ნაოპერაციები ყოფნა

შეფლერი: ჩემს შემოქმედებას ვერ გავანადგურებ
ლეტე: ეს მე ვარ, მე უნდა ვირბინო თქვენი შემოქმედებით, აღარ მსურს, ბატონო

შეფლერი: აქ უკვე უძლური ვარ
ლეტე: მაშინ ვინ?
შეფლერი: ერთხელ რაც მოიჭრება, შეუძლებელია ისევ მიკერდეს. რასაც ფრეზი აიღებს, შეუძლებელია იმის ძველებურად აღდგენა
ლეტე: თქვენც ადექით და საიდანმე რამე გადმომინერგეთ
შეფლერი: საიდან? ტრაკი გინდათ სახედ, გინდათ შუბლის ნაცვლად მუხლი რომ გქონდეთ და წვერის ნაცვლად საიღლიე თმა?

ლეტე: მე ჩემი სახე მსურს
შეფლერი: თქვენ ხელი გაქვთ მოწერილი, რომ თქვენს სახეზე უარს ამბობთ, ასე რომ, მორჩა
ლეტე: მე კი ისევ მინდა
შეფლერი: ადამიანების უმრავლესობა ბედნიერი იქნებოდა, თქვენნაირი სახე რომ ჰქონოდა
ლეტე: პრობლემაც აქაა. ისინი ბევრნი არიან
შეფლერი: ვინაა ბევრი?
ლეტე: ისინი, ვინც ჩემი სახით გაბედნიერდება
შეფლერი: რა ვქნა აბა, ჩემი ფუნთუშებისთვის ფული ხომ უნდა ვიშოვნო
ლეტე: სხვა სახე მოსინჯეთ
შეფლერი: შეუძლებელია, მე მხოლოდ ასეთი შემიძლია. სხვანაირის გაკეთება ჯერ არ მისწავლია. თქვენი ძველი სახე კი ისეთი ეგზოტიკური რამ იყო, რომ შეუძლებელია მისი კვლავ აღდგენა

ლეტე: გთხოვთ. რასაც მოისურვებთ, გადავიხდი
შეფლერი: თქვენ არანორმალური ხართ. სპეციალისტის დახმარება გჭირდებათ
ლეტე: ამიტომაც ვარ ახლა თქვენთან
შეფლერი: მე ექიმი არ ვარ, მე ხელოვანი ვარ. უნდა

	გთხოვოთ, რომ აქედან წაბრძანდეთ. ახლა აქ ოპერაცია იწყება
ლეტე:	ახლა ვიღა?
კარლმანი:	მე
ლეტე:	ისიც? მე მეგონა, რომ შენი გარეგნობა მოგწონდა
კარლმანი:	ისე რა
ლეტე:	შენი ცხვირი, მამისგან რაც გაქვს. ყველაფერი მერე იმისი გექნება (შეფლერზე მიუთითებს)
კარლმანი:	მე ამას მხოლოდ შენთვის ვაკეთებ
ლეტე:	ჩემთვის?
კარლმანი:	ის, რომ შენთვის ასე სულერთი არ ვიყო, მე შენ მინდიხარ, საყვარელო
ლეტე:	„საყვარელს“ ნუ მეძახი,
შეფლერი:	ჩემს პაციენტს თავისი მიზანი აქვს და ამ მიზანსწრაფვას თანმიმდევრულად მიყვება
კარლმანი:	დედამ მოკითხვა შემოგითვალა. ვახშამზე გელოდებით
ლეტე:	მეე? დარწმუნებული ხარ? (კარლმანი უყურებს)
კარლმანი:	არა, დარწმუნებული არ ვარ
ლეტე:	არც მე
კარლმანი:	მაშინ მარტო სუფჩიკი მერგება
შეფლერი:	გააკეთეთ ნემსი? (ფანი მას შპრიცს აწვდის)
ლეტე:	ოცდამეხუთე სართულზე მინდა
შეფლერი:	ცოტათი გეტკინებათ (ის კარლმანს ნემსს უკეთებს)
ლეტე:	უკვე დიდი სანია ტკივა. 1, 2, 3, 4
შეფლერი:	რამე სასიამოვნო მომიყევით
ლეტე:	ბავშვი რომ ვიყავი, დაძინება არ მინდოდა, ღამე იყო და ვინექი, დედამ გამიღიმა და ლოყაზე ხელი მომითათუნა. ახლა ეს ძალიან მაკლია
შეფლერი:	ცხვირით დავიწყოთ, რადგან ის ყველაზე მეტადაა სახიდან გასული

(ის გარეშმანის ცხვირის ბზეკრუვას ანყვეს)

ლეტე: როგორ მიყურებთ? მე თქვენ არ გიყურებთ

შეფლერი: სკალბელი (ფანი მას სკალბელს ანვდის)

ლეტე: როგორ არა, როცა მე ვიხედები, თქვენც მაშინ იხედებით, ნუ იხედებით

შეფლერი: აქ მოხერხეთ

ლეტე: აი, კიდევ. ასე ნუ მომშტერებიხართ, ჩემზე ცუდად მოქმედებს. ეს მე არ ვარ, ეს თქვენ ხართ. მე?

შეფლერი: ძვლის ცვილი (ფანი მას ძვლის ცვილს ანვდის)

ლეტე: თქვენი პირის კუთხეები პანიკურად ცმუკავს. არა, თქვენ ცმუკავთ. მე ვცმუკავ, რადგან თქვენ ცმუკავთ. არა, მე არ ვცმუკავ. როგორ არა, თქვენ ცმუკავთ

შეფლერი: გაასუფთავეთ
(ფანი ასუფთავებს)

ლეტე: ასე ცუკ, ცუკ, შეწყვიტეთ.
ჯერ თქვენ შეწყვიტეთ. ძალიან მაღიზიანებთ თქვენი პანიკით, ეს თქვენ ხართ პანიკაში. მე სულაც არა. როგორ არა, შეხედეთ თქვენს თავს.
ვის?
თქვენს თავს?
ჩემს თავს?
მართლაც ჩემს თავს?
თქვენ?
დიახ, მე თუ თქვენ. სულერთია თქვენი ცქმუტვა პანიკურია.

შეფლერი: ელექტროდანა
(ფანი მას ელექტროდანას ანვდის, შეფლერი ქრის)

ლეტე: გაფრცქნილ კვერცხს ვგავარ.
თქვენ ისე გამოიყურებით, როგორც მე. ტყუილია, სინამდვილეში მე სხვანაირად გამოვიყურები. მეც. თქვენ არა. ეშმაკმა დანყველოს, თქვენ მხოლოდ იმ სარკეში ხარი,

სინამდვილეში სულაც არ არსებობთ.
არც თქვენ

შეფლერი: მაღალტურბინული ფრიზი თუ შეიძლება
(ფანი აწვდის. შეფლერი ფრეზავს)

ლეტე: თუ მომინდება, კიდეც დაგარტყამ.
უახლოეს პირისსაბანთან დაგელოდებით, ნეონის
სინათლეზე პანიკამოცული თქვენს თავს რომ
მიაშტერდეთ.
მე სულაც არ ვარ პანიკაში
მაშინ რა გნებავთ ამ მაღალსართულიან სახლში?
სუფთა ჰაერი
იმიტომ რომ პანიკაში ხართ

შეფლერი: გაასუფთავეთ
(ფანი ასუფთავებს)

ლეტე: ეს შენობა იმიტომ ამოირჩიეთ, რომ
ნუკლეარქტიკ ჯგუფს ეკუთვნის, რომლის
ქალბატონ დირექტორთანაც მე ვწევარ.
არა, მე, მე ვწევარ
მეც
თქვენც?

შეფლერი: ძაფი
(ფანი აწვდის ძაფს და ნემსს. შეფლერი კერავს)

ლეტე: ახლა ოცდამეხუთე სართულზე
გამობრძანდებით, გადასახედი
პლატფორმის მოაჯირზე აცოცდებით და
გადახტებით.
სახურავიდან უნდა გადავხტე.
დიახ, იმიტომაც ჩაჯექით ლიფტში.
რა სისულელეა, ზევით მინდა ასვლა.
პირიქით, ქვევითკენ აპირებდით.
არა

შეფლერი: აქ თითი დაადეთ
(ფანი თითს აღებს, შეფლერი ნასკვავს)

ლეტე: დაშვებისას მიენარცხებით ფანჯარას,

რომლის სილრმეშიც ნუკლეარქტიკ
ჯგუფის დირექტორი კონიაკს
წრუპავს. არა, და თავის უსუსურ ვაჟს
ელოდება, რომელიც იმ წუთებში
სახეს იცვლის, რომელიც თქვენს
საკუთრებად მიგაჩნიათ და რაც ძირს
დანარცხებით, გსურთ ერთხელ და
სამუდამოდ გაანადგუროთ

შეფლერი: ესეც ასე. დანარჩენი თქვენ
დაასრულეთ, მე ხელებს დავიბან.
(ფანი კარლმანს თავს უხვევს. მისი სახე დოლბანდითაა
დაფარული)

ლეტე: არ მინდა, მეშინია
მართალია, პანიკაში ხართ
მართლაც, პანიკაში ვარ
კარგია, ახლა რომ მიხვდით
მიუხედავად ამისა, არ მესიმპათიურებით
არც მე და ყოველ წუთს მით უფრო
მეე?
და საერთოდ ვის გულისხმობთ, თუ
შეგიძლიათ თქვათ?
რაა?
მე
ვინ?
თქვენ
მე?
თქვენ თვითონაც არ იცით
რაა?
ასე რომ წავიდა, უკან მოვიტოვოთ
თქვენ არა. მე უნდა მოგიტოვოთ უკან
პირიქით, პირველი მე დავდგები კიდეზე
და ვიქანავებ
მაშინ მე თქვენ ქვევით ჩაგაგდებთ
მე კი თქვენ
ჰოდა, ეგ სიფათიც მოგენგრევა ტროტუარზე.
ეს თქვენი სიფათია და არ ჩემი

მოკეტე 23, 24, 25 გზიდან ჩამომეცალე, ვხტები

კარლმანი: არა

ლეტე: აქ რა გინდათ?

კარლმანი: ეს-ესაა კლინიკიდან მოვდივარ

ლეტე: კარგია, მე კი ეს-ესაა უნდა გადავხტე

ფანი: ეს ძალიან მაღალია

კარლმანი: იქნებ ჯერ შემომხედო, ნახავ როგორ გამოვიყურები

ლეტე: ისედაც ვხვდები

ფანი: აქეთ-იქით ნუ ქანაობ

ლეტე: ყველაფერი დავკარგე, უკვე მეტისმეტია

კარლმანი: ჩვენ ხომ აქ ვართ

ფანი: ჩვენ გვიყვარხარ, გარდა ამისა, სულაც არ გვინდა ფანჯრის რაფას ჩამოემხო, რას იფიქრებს საწყალი ხალხი, ქოთნის ყვავილებს რომ შეხედავენ და შენ დაგინახავენ

ლეტე: შეფლერმა გარეთ მომისროლა, ჩემი არსებობა სავარაუდოა, აღარც ფული მაქვს

კარლმანი: მერე რა? შეგიძლია ჩვენთან იცხოვრო და ჩვენი ფულით ისარგებლო

ლეტე: ცოლმა მიმატოვა და სხვასთან ძინავს

ფანი: შენი ცოლი რაში გჭირდება, მე გყავარ

კარლმანი: შეგიძლია მეც გყავდე, რა თქმა უნდა, თუ მოისურვებ

ფანი: (კარლმანს მიმართავს) მოიცილე ეგ სულელური ძონძი სახიდან, ასე ვინ დადის ქუჩაში
(ის კარლმანს დოლბანდს ხსნის)

ლეტე: თქვენი კეთილგანწყობა მე მეკუთვნის, თუ იმას სცემთ პატივს, ვინც სინამდვილეში ვარ. იქნებ სულაც ქრისტიანი გგონივართ, იქნებ ისიც ვარ,

ან იქნებ კარლმანი ვარ, საერთოდაც ვინ
არის კარლმანი, ახლა ჩემს ცოლთან რომ
არის, ის ვინღაა, მე ვარ თუ ის, თუ მე
თვითონ, თუ ვინ?

ფანი: ყველაფერს საშინლად სერიოზულად
აღიქვამ. თითქოს მარტო შენ ერთადერთს
გქონდეს პრობლემები

ლეტე: მართალი ხარ

ფანი: თქვენც ნუ დაიწყებთ ასე უმოწყალოდ
ერთმანეთის გარჩევას
(კარლმანს სახეზე სახვევი აღარ უკეთია. ლეტე მას
უყურებს)

ლეტე: ოჰ

ფანი: ასე მშვიდობიანად არ ჯობს
ყველაფრის მოგვარება

ლეტე: მე კი მეგონა ლიფტის სარკეში
დაგტოვე

კარლმანი: ეს მე ვარ

ლეტე: ვინ?

კარლმანი: მე

ლეტე: მეე?

კარლმანი: დიახ. მე

ლეტე: შენ ხარ მეე?

კარლმანი: სიამოვნებით. მირჩევნია ვიდრე მე
ვიყო

ლეტე: მე შენ გეძებდი

კარლმანი: მეე?

ლეტე: დიახ. ჩემს თავს

კარლმანი: ახლა მიპოვე?

ლეტე: მგონი კი. მეცჩემი თავი ვიპოვე

კარლმანი: მიხარია

ლეტე: მეც

კარლმანი: ქვემოთ ჩახტომა მე სულაც არ
მინდოდა

ლეტე: არც მე

კარლმანი: ლამაზი ვარ, არა
ლეტე: გმადლობთ. თქვენი მხრივ
სასიამოვნოა. მეც ლამაზი ვარ
კარლმანი: გმადლობთ. ახლა სულ გავწითლდები
ლეტე: როგორც მე
კარლმანი: და მე
კარლმანი: და მეც
(ისინი ერთმანეთს უყურებენ)
კარლმანი: ჩემი თავი მენატრებოდა
ლეტე: მეც, ისე მაკლდა ჩემი თავი
კარლმანი: მე კი ჩემი თავი, სულ ჩემზე
ვფიქრობდი, მას შემდეგ რაც ჩემს
თავს პირველად მოვკარი თვალი
ლეტე: მეც, რადგან ყოველი წუთი, როცა ჩემს
თავთან არ ვარ, ჩემთვის დაკარგულია
კარლმანი: დიახ. მეც არ შემიძლია უჩემოდ
ცხოვრება
ლეტე: არც მე უჩემოდ, მირჩევნია მოვკვდე,
თუ ჩემს თავს დავკარგავ
კარლმანი: აღარ მინდა ჩემი თავი მივატოვო
(არაფერი. ისინი ერთმანეთს უყურებენ)
ლეტე: ასე შემიძლია საათობით ვუცქირო ჩემს
თავს
კარლმანი: მეც ასეთი შეგრძნება მაქვს, ჩემს
თვალებს რომ ვაკვირდები, სხვა
ყველაფერი მავიწყდება
ლეტე: რა საყვარლად ვიქცევი, ამას რომ ვამბობ
კარლმანი: შეიძლება შეგეხო? (ისინი ერთმანეთ სახეზე ეხებიან)
ლეტე: იგრძნო, რომ მე ვარ
კარლმანი: ჩემი თმა ძალიან რბილია
ლეტე: ჩემი კანი კი გლუვია
კარლმანი: რა სურნელი მაქვს
ლეტე: როგორც მე
კარლმანი: და მეც
ლეტე: და მეც
კარლმანი: და მეც
ლეტე: და მეც

კარლმანი: და მეც
კარლმანი: და ლეტე მე მიყვარს ჩემი თავი

(მათი სახეები ერთმანეთს ნელ-ნელა უახლოვდება, და ერთმანეთს კოცნიან)

ფანი: ნელ-ნელა საწოლისაკენ არ დავიძრათ
ახლა როცა მდიდრები და ლამაზები ვართ?
რათა გავბედნიერდეთ და ძილს მივეცეთ
(შეფლერი შემოდის და ხელში სარკე უჭირავს)

შეფლერი: მინდა შევხედო. ცხვირით ვიწყებ, რადგან
ის ყველაზე მეტადაა სახიდან გასული
(ის თავისი ცხვირის მტვრევას იწყებს)

დასასრული

თარგმანი: მაია ფალავანდიშვილი